ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და ს.ს.ს.რ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 166 შაბათი, 22 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 2 ივლისი 1922 წ. № 166

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი

აცნობებს ყველა მოქალაქეებს, რომ ვისაც სურს ამხ. კამოს სახელობის სახლის ფონდისათვის შემოწირულების გაღება, უნდა წარადგინონ ყოველგვარი შემოწირულება ქალაქის აღმასკომის სალაროში.

(2—1) მდივანი: **ხუნდაძე.**

განცხადება

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა/წ. ივლისის 20 დან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის დავით **ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი ხხვადასხვა გადასახადები ქალაქ თბილისში, კომისიაში წევრებად შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლნი.

ყველა მოქალაქეთ ევალებათ სხვა და სხვა გადახდილ გადასახადის ყოველგვარი კვიტანციები და კერძო ბარათები წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შესამოწმებლად. იმათ, ვინც ზემოაღნიშნულ კვიტანციებსა და კერძო ბარათებს არ წარმოადგენს, გადახდილი გადასახადი ჩაეთვლებათ გაბათილებულად და ხელმეორედ გადახდებათ. განცხადებები და ნახსენები კვიტანციები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **მდივანს.** (ოთახი № 21).

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო
3—2 სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **დ. ჩიქოვანი.**

ჰააგის კონფერენცია

თეზისები

1. იმპერიალისტური ომით გამოწვეული მსოფლიო კრიზისი, რომელიც არამც თუ არ არი დაძლეული, არამედ, პირიქით, უფრო ღრმავდება, აიძულებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ეძიონ ჩიხიდან გამოსავალი რუსეთთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენაში, ურომლისოდ წარმოუდგენელია მსოფლიოს და მით უმეტეს ევროპის მეურნეობის აღორძინება.

2. არა აქვს რა საშუალება ძალით მოაქციოს რუსეთი მისი ბუნებრივი სიმდიდრით და სამრეწველო ნედლეულით თავის სამეურნეო გავლენის სფეროში, გადააქციოს ის ინტერვენციის გზით თავის კოლონიად,—დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები იძულებული შეიქნენ დაეწყოთ მასთან მოლაპარაკება.

3. მაგრამ ასეთ მოლაპარაკების პირველმა ცდამ გენუაში გამოაშკარავა შეურიგებელი წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი აქვთ „კერძო საკუთრების საღვთო უფლების“ ნიადაგზე მდგარ სახელმწიფოებსა და მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს შორის, რომელიც თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს არა ერთი მუჭა კაპიტალისტების, არამედ ფართე მშრომელ მასსების ინტერესებს.

4. გენუაში დამარცხებამ მაინც არ წაართვა იმედი კაპიტალისტებს რუსეთთან შეთანხმებისა მათთვის მისაღებ პირობებზე მოლაპარაკების და შეთანხმების ადგილად დანიშნეს ჰააგა, სადაც კონფერენცია უნდა გახსნილიყო ერთი თვის შემდეგ. თითეული მხარეს უნდოდა გამოეყენებია ეს დრო თავის ინტერესებისათვის, ყოველ შემთხვევაში ამის იმედი ჰქონდა.

ხურავდა რა კონფერენციას გენუაში, ანტანტას იმედი ჰქონდა, რომ ამ ერთ თვეში სიმშილი და ნგრევა რუსეთში უფრო ფართე და მწვავე ხასიათს მიიღებდა და ამით შესუსტდებოდა მისი პოზიცია ჰააგაში. მაგრამ რუსეთი არამც თუ არ დასუსტდა, პირიქით, დამშეულ ქვეყნიდან გადაიქცა თუ საუკეთესოს არა კარგი მოსავლის მქონედ მაინც,—ხოლო ეს კი საკმაოდ მკვეთრი იარაღია პროლეტარულ რესპუბლიკის ხელში სისხლის მსმელ კაპიტალის წინააღმდეგ ჰააგაში.

გარდა ამისა, კაპიტალის რიგებში ერთობის უქონლობამ ცხადყო მათი სისუსტე ერთიანი საბჭოთა დელეგაციის წინაშე. ანტანტას უნდა შეექმნა ერთიანი ბურჟუაზიული ფრონტი, რაც არ უნდა დასჯდომოდა. ერთი თვე ამისთვის სავსებით იქნას გამოყენებული. და უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით უფრო შემჭიდროებულად გამოვიდნენ კაპიტალისტური სახელმწიფოები ჰააგაში, ვინემ ამას ჰქონდა ადგილი გენუაში.

თვით კონფერენციის კონსტრუქცია (დაყოფა არა-რუსულ, ე. ი. ერთიანად კაპიტალისტურ, და რუსულ კომისიებად) გვიჩვენებს ბურჟუაზიის ცდას რუსეთის იზოლიაციისა; მან დაუპირდაპირა მოლაპარაკების დროს ჩვენს დელეგაციას ყველა ბურჟუაზიულ დელეგაციების მიერ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებანი. მაგრამ ასეთი მოქმედების უშედეგობა დაუყონებლივ გამოაშკარავდა, ვინაიდან ცხადი გახდა ჰააგაში, რომ არავითარ გადაწყვეტილებას რუსეთის შესახებ ურუსეთოდ, რომელიც მტკიცედ და შეურყევლად წარმოდგენილია ჰააგაში, არ ექნება მნიშვნელობა საერთო მოლაპარაკებისათვის.

კარგი მოსავლით ზურგ გამაგრებულმა რუსეთმა, რომელმაც გადაიტანა სამოქალაქო ომის ცეცხლი, რომელიც გამოიხატა გაჭირვებასა და უბედურებაში,—უფრო მედგრად დაუპირდაპირა ბურჟუაზიულ ფრონტს თავისი პროლეტარული ფრონტი და არ დასთმო თავისი სისხლით განმტკიცებული მონაპოვარნი. მოლაპარაკება დაიწყო იმაზე, რაზედაც ის შესწყდა გენუაში: ესაა საკითხები: 1) საკუთრების სისტემისა რუსეთში, 2) ვალების და 3) რუსეთისათვის კრედიტების მიცემის შესახებ.

ანტანტამ მოითხოვა: ა) კერძო საკუთრების აღდგენა რუსეთში, ბ) უჭველი გადახდა ომის წინანდელ სამთავრობო, სარკინიგზო, მუნიციპალურ და სხვა ვალებისა, ამასთან მხოლოდ ბუნდოვანად მიუთითებდა მათი ნაწილობრივი მორატორიუმის შესაძლებლობაზე, და ბოლოს, გადახდა ყველა სამხედრო ვალების (ინგლისის გარდა, რომელიც მზად არის უარი სთქვას სამხედრო ვალების თავის ნაწილზე).

6. ძირითად საკითხში, რომელთან დაკავშირებულია თვით შესაძლებლობა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა, კრედიტების საკითხში, მოკავშირენი მზად არიან მისცენ კრედიტი, და ისიც ნაწილობრივი, თავის მოქალაქეთ და ორგანიზაციებს რუსეთთან სავაჭროდ, და მეტად უმნიშვნელო კრედიტი თვით რუსეთს.

რუსეთმა მოკავშირეების ამ მოთხოვნათა საპასუხოდ წამოაყენა შემდეგი დებულებანი:

ა) რუსეთი თანხმდება მხოლოდ იჯარასა და კონცესიაზე, ბ) ომის წინანდელ ვალების გადახდა დამოკიდებული იქნება აღმოჩენილ კრედიტებზე, ამასთან რუსეთი მოითხოვს ამ ვალების შემცირებას და ხანგრძლივ მორატორიუმს და კატეგორიულად უარს აცხადებს სამხედრო ვალების გადახდაზე, გ) ის მოითხოვს მთავრობათა კრედიტებს რუსეთის მთავრობისათვის, ხოლო მათი ჯამის და ფორმის მიხედვით მზად არის განსაზღვროს თავის დამოკიდებულება სავალო ვალდებულებისადმი.

8. ამგვარად ანტანტის წინადადებანი აღმოჩნდნენ რუსეთისათვის პრინციპიალურად მიუღებლად, და ვაჭრობა, დაწყებული გენუაში და გაძლიერებული ჰააგაში, დასრულდა ისე რომ არავითარი დადებითი შედეგები არ გამოულია.

9. მაინც, თუმცა უშუალო პრაქტიკული შედეგები არ მოყოლია არც გენუას, არც ჰააგას,—მაგრამ მსოფლიო პროლეტარიატის ფართე მასსების კლასობრივ შემეცნების გაღრმავების აზრით ამ კონფერენციებმა ბევრი რამ უნდა მოგვცეს. მთელი მსოფლიოს წინაშე ხდებოდა საჯარო შეტაკება საკუთრების ორ სისტემას შორის, რევოლიუციონურ და ბურჟუაზიულ უფლებას შორის და ყველასათვის ცხადი გახდა, თუ რომელი სისტემა და რომელი უფლებაა გამომხატველი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესების, მსოფლიო მეურნეობის აღორძინების ინტერესების. ცხადი გახდა, რომ ზოგად კაცობრიული ინტერესები ფეხქვეშ ითელება კაპიტალისტურ მსოფლიოს დიპლომატების მიერ ერთი მუჭა, მეფის მოვალეთა ინტერესებისათვის.

10. თუ საერთო შეთანხმება საბჭოთა ფედერაციისა მსოფლიო კაპიტალთან არ მოხერხდება, მოსჩანს მეორე გზა—გზა კერძო ხელშეკრულებათა, როგორც ცალკე სახელმწიფოებთან (მსგავსად გერმანიასა, ჩეხოსლოვაკიასა და იტალიასთან დადებულ ხელშეკრულებათა), ისე კერძო კაპიტალისტების ცალკე ჯგუფებთან.

პროლეტარულმა რესპუბლიკამ, თავისი ღირსეული წარმომადგენლის ამხ ლიტვინოვის პირით, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მტაცებლურ მოთხოვნებზე და თავხედურ პოზიციაზე საპასუხოდ, მტკიცედ განუცხადა მათ: „ჩვენ თავიდან ვიხსნით პასუხის მგებლობას კონფერენციის შესაძლებელ დამარცხებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა რუსეთი, დამყარებული საკუთარ რესურსებზე, გამოვა გამარჯვებული ბრძოლიდან ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად. ბურჟუაზიული მთავრობები ინანებენ თავის ჯიუტობისათვის.“

ს. კ. პ. თბ. კ. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება.

იმპერიალიზმის აგენტი ი. ბრაუნტალი „კომუნისტურ საქართველოს შესახებ“

იყო ერთი „მწერალი ქალი“—პარიზელი, ბურჟუაზიულ ბანაკიდან, ახალგაზრდა ქალი, ვინმე ოდეტტ კენი, რომელმაც მოისურვა იაზონად გადაქცევა: ჩავიდა კოლხეთში (საქართველოში) ჯერ კიდევ მენშევიკების დროს, მისთხოვდა ცოლად ბრწყინვალე ქართველ აზნაურს, წერეთელს და, დარჩა რა იქვე ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგაც, მიიღო რაღაც „მავლინება“ კონსტანტინოპოლში, სადაც ინგლისელები „რატომ-ღაც“ ითმენდენ მას 2—3 თვის განმავლობაში, და შემდეგ ისევ, „რატომ-ღაც“ გაგზავნეს იგი ოდესაში, საიდანაც ის იქნა გადაგზავნილი ხარკოვში დაბოლოს ამოჰყო თავი მოსკოვში. მისი და ქმრის წერეთლის თხოვნით ის გაიგზავნა „სახელმწიფო ხარჯით“ მოსკოვიდან საბჭოთა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში.

ის ჩქარა მოევლინა პარიზის ბურჟუებს. და როგორც მსუბუქი ჟანრის და სტილის მწერალმა—ნამდვილმა ტურისტმა (ვშიშობთ არავინ მიუმატოს ამ სიტყვას „ავან“), წარმოშვა, ვითომდა საბჭოთა საქართველოს „მისი მეგობრებისათვის“ სრულებით მოულოდნელად მთელი ბროშიურა, რომელიც სავსეა ინსინუაციებით, საბჭოთა ხელისუფლების და რუსეთის დიდი ფედერაციის წინააღმდეგ...

1922 წელში ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში როგორც „ქველმოქმედი“, ვინმე „ამსტერდამელი“ ი. ბრაუნტალი. ხოლო ბოლოს და ბოლოს, მანაც, როგორც ერთგულმა აგენტმა იმპერიალიზმისა, ევროპაში დაბრუნების შემდეგ, საცოდავ ავსტრიაში, შექმნა განგაში 2 ნახ. ინტერნაციონალის მიმდევარის ფრიც ადლერის გაზეთში და მოათავსა მთელი რიგი წერილებისა (რომელიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და რა თქმა უნდა, როგორც პარიზელი ქალი, კენი, გამოსცემს ცალკე ბროშურად), რომელიც სავსეა ინსინუაციებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აი სათაურები მისი წერილებისა: 1. კატასტროფიული მალარია საქართველოში, 2. შიმშილი და წარმოების დაცემა, 3. საერთო დაშლა, 4. მუშათა კლასის მდგომარეობა, 5. ხუნდებმ დადებული თავისუფლება, 6. როგორ გაკომუნისტდა საქართველო, 7. ბრძოლა სვანეთისათვის.

ჯერ მარტო სათაურები ამ იმპერიალისტური სულით გაჟღენთილი წერილებისა, ააშკარავებს, რომ ტყუილად იმოგზაურა ავტორმა საქართველოში.

ავიღოთ ბატონ ბრაუნტალის წერილების პირველი სათაური: „კატასტროფიული მალარია საქართველოში“. ნუთუ იმან, რომელიც დარჩა კაპიტალისტურ ევროპაში, არ იცოდა, რომ მდინარე რიონის ნაპირები (დასავლეთ საქართველო)—მალიარიანი ადგილებია, ისევე როგორც მდ. განგის დაბლობები ხოლერიანია, ხოლო ამ ჟამად ოლგის სანაპირო გუბერნიები რუსეთში—დამშეულია? საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძველი „ცოდვების“, ბუნების უბედურებათა მიწერა,—ეს მეტის-მეტად ჭკუასთან დაშორებული საქმეა.

რა თქმა უნდა მოქ. ბრაუნტალი არას ამბობს იმის შესახებ, რომ 1921 წლის მარტში, საქართველოს მენშევიკებმა ბათუმიდან გაქცევის დროს, საფრანგეთის ნაღმოსანი გემების მფარველობით, გაიტაცეს ყველაფერი, რაც რამ დარჩა საქართველოში 3 წლის ძარცვის შემდეგ და აგრეთვე ქინაქინის მთელი მარაგი, რომელიც არის ერთად-ერთი საშუალება მალარიის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს ღატაკ გლეხობის და მუშებისათვის.

მას კი ნებავს გაგვამტყუნოს ჩვენ აფთიაქების ნაციონალიზაციისათვის...

შემდეგ, „შიმშილობა და წარმოების დაცემა“, ასეთი სათაური აქვს მეორე წერილს..

საწყალი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბრაუნტალო!

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ 1918—20 წლებში, მენშევიკების დროს და სტიქიურ უბედურებათა გარეშეც, საქართველოში მეტი სიმშილობა იყო და წარმოების უფრო მეტი დაცემაც, მუშათა და გლეხების და სომხეთის წინააღმდეგ მენშევიკების დაუსრულებელ სამოქალაქო ომების წყალობით.

და აი, ჩქარა 1-ნახევარი წელი გათავდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, საქართველოში არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი არც სამოქალაქო და არც საგარეო ომები. ნუ თუ თქვენ არ იცით, მოქ. ბრაუნტალო, რომ ყველაზე უფრო ჭკუიანი ქართველი მენშევიკი ნოე ჟორდანია სჩივოდა თავის თანამებრძოლთა წინაშე და კაუტსკის საქართველოში ყოფნის დროს, საქართველოს საბჭოთა გადატრიალების წინა დღეებში, **რომ საქართველო (მენშევიკური) კატასტროფიულ მდგომარეობაშია, არ აქვს გამოსავალი არც ეკონომიური და არც პოლიტიკური მხრით!** ასე ლაპარაკობდენ მენშევიკები თავიანთ საპასუხისმგებლო პარტიულ კრებებზე, ამის შესახებ სწერდენ თბილისის გაზეთები 1920 წლის დამლევს და 1921 წლის იანვარ-თებერვალში. ხოლო საქართველოს გადატრიალება იწყება თებერვლის ბოლო რიცხვებიდან. კიდევ უფრო კურიოზულია თქვენი მეხუთე წერილის სათაური, მოქ. ბრაუნტალო: „ხუნდებ დადებული თავისუფლება“.

ერთი ვიკითხოთ, თქვენთან, ევროპაში როგორია მდგომარეობა.

პოლონეთის, ავსტრიის, რუმინიის საფრანგეთის, გერმანიის და სხ. ციხეები ავსილია კომუნისტებით. სიკვდილით დასჯა გაფიცულ მუშებისა ისპანიაში, ამერიკაში და „წმინდა დემოკრატიის“ სხვა ქვეყნებში, გცხვენოდესთ, მოქ. გრაუნტალო, თუ შესძლებთ ამას...

უკანასკნელი სათაური:—„ბრძოლა სვანეთისათვის“.

ბ. ბრაუნტალი შეიყვანეს შეცდომაში მისმა გამგზავნელებმა.

იქ, სვანეთში, მეფობის დროს და მენშევიკების დროს დარჩა თითქმის ხელუხლებელი პატრიარქალურ ბატონყმური ცხოვრება, და მცხოვრებთა გაუნათლებლობა, რომელსაც ხელს უწყობს ფეოდალური წინამძღოლები და რელიგიური ფანატიკოსები. რა თქმა უნდა იქ ვერ მოასწრო შეჭრა ბოლშევიზმმა გადატრიალებამდე მაგრამ იქ შევიდნენ ფეოდალური და არა ფეოდალური მენშევიკები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს. და აი, როგორც ეს მოხდა რუსეთში, და უკრაინაში, სვანეთშიაც შეიქნენ პატარ პატარა ბანდები რომელთაც წამოაყენეს სხვა და სხვა დემოკრატიული ლოზუნგები მენშევიკების პროგრამიდან, ლოზუნგები წმინდა ბურჟუაზიული, ნაციონალისტური და შოვინისტური ხასიათისა.

საკმარისი იყო მისულიყო იქ ერთი უიარაღო ჩვენი ამხანაგი, საქართველოს მუშათა წინამძღოლი, მუშა ლადო დუმბაძე და განემარტებინა გლეხებისათვის საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი, რომ შეურიგებელი ბანდიტები გაქცეულიყვნენ და შეეფარებინათ თავი ზემო სვანეთის ხეობებში.

თქვენი რელიაციები ბოლშევიკების სამხედრო მოქმედების შესახებ სვანეთში და სხვა დანარჩენი ზღაპრები „წითელ არმიელების მხეცობათა“ შესახებ რომელიც თქვენ გაცნობეს ჟორდანიას, წერეთელის და სხვათა აგენტებმა, ვერავის ვერ აუხვევს თვალებს, თუნდაც თქვენს კაპიტალისტურ ევროპაშიაც, სადაც თეთრგვარდიელთა პრესა სთხზავს წითელ **მოსკოვის** და რუსეთის დიდი ფედერაციის შესახებ ამაზე უარეს ფანტასმაგორიებს.

მიხა ცხაკაია.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). კანცლერმა ვირტმა და პარტიების ლიდერებმა დაადგინეს გადასდონ გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები რეიხსტაგის შემოდგომის სესიამდე.

ანტანტა და გერმანია

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო) ანტანტა უარს ამბობს მიიღოს გერმანიიდან მიუწოდებელ ნახშირის ნაცვლად გადასახადი, ნახშირის კრიზის გამო და ამჯობინებს მიიღოს ის ნატურით, რაც საგრძნობლად დასცემს გერმანიის მრეწველობას.

გერმანიის მრეწველობა.

ნაუენი 20 ივლისი (რადიო). ბერლინის სარწმუნო წყაროები უარსყოფენ პარიზიდან მიღებულ ცნობებს, რომლის თანახმად გარანტიების კომისია მოითხოვს გერმანიის სამრეწველო კამპანიების დაბეგვრას, გერმანიის საკონტრიბუციო გადასახადის გარანტიისათვის.

რატენაუს მოკვლის გამო.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო) დაპატიმრეს სოალენის კოშკის პატრონი ექიმი შტეინი. თუმცაღა ძლიერ საეჭვოა, რომ მას სცოდნოდა, რომ მის კოშკში იმყოფებოდნენ რატენაუს მკვლელები.

ხორდო. 10 ივლისი (რადიო). იტყობინებიან რატენაუს მკვლელების შეპყრობის დეტალების შესახებ. პოლიციის მიერ დევნილი მკვლელები მიიმალენ კოშკში. პოლიციამ სროლა ასტეხა ბანჯარაში და ტყვიით მოკლულ იქნა კერნი. კოშკის ახლო იპოვნეს ხვეული ტანთსაცმელების, რომელიც დაეტოვებიათ მკვლელებს, რომ ადვილი ყოფილიყო მათთვის გაქცევა. მკვლელების გვამთან აღმოჩნდა საკრედიტო ბილეთი 3,000 მარკის რაოდენობის. გამოირკვია, რომ კოშკის პატრონი შტეინი ამ ხნის განმავლობაში მოგზაურობდა მიუნხენში და ნიურნბერგში.

რატენაუს მოკვლის გამო.

ხორდო 20 ივლისი (რადიო) მიუნხენიდან იტყობინებიან, რომ რატენაუს მოკვლის გამო დატუსაღებული სტუდენტები განთავისუფლებულნი არიან.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). დამალებით მიღებულ ცნობების თანახმად რატენაუს მკვლელებმა, სანამ მათ პოლიცია შეიპყრობდა, დაჰყვეს კოშკში 3 დღე. მახლობელი მცხოვრებნი გაკვირვებული იყვნენ სინათლით, რომელიც მოსჩანდა კოშკის ფანჯრებიდან, ვინაიდან კოშკის პატრონი ამ დროს სხვაგან იყო წასული.

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). პრეზიდენტ ებერტმა მიმართა კანცლერ ვირტს წინადადებით, რომ მოანზადოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები იმის გამო, რომ ამ ჟამად გერმანიას ზემო-სილეზიის განაწილების შემდეგ აქვს დამყარებული და გამორკვეული საზღვრები.

ჰააგის თათბირი

კრაუდენი. 20 ივლისი (რადიო). მთელი რუსეთის დელეგაცია დაესწრო დღეს კონფერენციის პლენალურ სხდომას და წამოაყენა ახალი წინადადებები იმ მიზნით, რომ აიძულოს კონფერენცია განაგრძოს მუშაობა. ჰააგიდან მოსული ცნობების თანახმად რუსეთის დელეგატები თანხმდებიან უცხოელებისადმი რუსეთის მთავრობის ვალების ცნობაზე და უცხოელების საკუთრების ზარალის კანონიერ ანაზღაურებაზე, ამასთანავე გადახდის და კომპენსაციის ფორმებს გამოიმუშავებს რუსეთის მთავრობა და დაინტერესებული პირები 2 წლის განმავლობაში თუმცაღა ლიტვინოვი ამტკიცებს, რომ ეს წინადადებანი მოითხოვენ მოსკოვის სანქციას. არა რუსული კომისია შეიკრიბება დღეს დილით ამ წინადადების გასარჩევად.

ხორდო. 20 ივლისი (რადიო) საფრანგეთის დელეგაცია წავიდა ჰააგიდან 20 ივლისს დილით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ საერთო კანონის გამოცემამდე, შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დროებითი წესები სააქციონერო საზოგადოებათა დაარსების და მათი მოქმედების და აგრეთვე დამაარსებელთა და გამგეობის წევრთა პასუხისმგებლობის შესახებ.

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). შრომის და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა იმ საქონლის დამატებითი სიები, რომელიც იგზავნება ნიჟეგოროდის ბაზრობაზე და რომელიც მოითხოვს გადაზიდვის ტარიფის შემცირებას შეღავათი ვრცელდება მანუფაქტურაზე—30 პროც. ასანთზე—50 პროც. რეზინის ნაწარმოებზე—15 პროც. ბეწვეულზე—50 პროც. ცხვრის ტყავზე—50 პროც.

პრესა

ფიზიკური კულტურის წითელი ინტერნაციონალი.

ამხ. პოდვოისკი ეხება მოსკოვის „პრავდა“-ში საკითხს მშრომელთა ფიზიკური კულტურის შესახებ და მის მნიშვნელობას რევოლიუციისათვის.

„ბურჟუაზიამ უკვე გამოიყენა სასპორტო ორგანიზაციები კლასიური ბრძოლის იარაღად ჩეხო-სლოვაკიაში, უნგრეთში, ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, საფრანგეთში, ყველგან და ყოველთვის გაბატონებული კლასები ფართო დახმარებას უწევდენ სპორტ-გიმნასტიკურ ორგანიზაციებს და ხდიდნენ მათ თავიანთი არმიის და ბრძოლის დასაყრდნობათ. ამავე გარემოების გამო შვეიცარიაში, შვეციაში, ავსტრალიაში, ამერიკაში, ინგლისში დღეს საშუალება აქვთ მშვიდობიანობის დროს იყოლიონ არმიის უმნიშვნელო კადრები. ამ ქვეყნების სასპორტო კლუბები ახალგაზრდათა მზადება სამხედრო სამსახურში გაწევამდე იძლევა დისციპლინით გამსჭვალულ მეომარს უკვე სკოლის ასაკიდან. ხოლო ამ კლუბების შემნახავი საზოგადოებანი, იყვნენ რა პროლეტარიატის მტრების ხელში, თამაშობდენ და თამაშობენ ყველა ბურჟუაზიულ და ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებში კონტრ რევოლიუციონურ როლს. მაგალითად რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეხების „სოკოლები“ ასრულებდენ საძაგელ როლს მუშათა კლასის ჯალათებისას. მსოფლიო ბურჟუაზია, როგორც მეცნიერებას, ისე ფიზიკურ კულტურასაც იყენებს თავის ბატონობის გასამაგრებლათ“

აქედან—ამოცანა, რომელიც დგას რევოლიუციის წინაშე ისე როგორც სამხედრო სამსახურში გაწევამდე ახალგაზრდათა მომზადების საქმეს შევუდექით „საყოველთაო სამხედრო სწავლების“, „ვსევობუჩის“ საშუალებით, ისევე ფიზიკური კულტურის საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი მშრომელთა სახელმწიფომ. ამ მიზნით აპრილში რუსეთში მოეწყო ფიზიკური კულტურის წითელი ორგანიზაციების კავშირი. სიჭიროა ამ მხრით ჩვენშიაც უკვე დაწყებული მუშაობა ენერგიულათ სწარმოებდეს.

⁂

„ტრიბუნა“.

საქართველოში ფუსფუსებს ერთი კატეგორია ადამიანების, ფაქტიურათ პროვოკატორებისა და ავანტიურისტების, რომელთა ერთათ-ერთ „უმახლობელეს მიზანს“ შეადგენს თავიანთი გამოფიტული და მისუსტებული ძალებით ხელი შეუწყონ არსებულ ხელისუფლების ირგვლივ უნდობლობის, გამოურკვევლობის და პოლიტიკური მერყეობის ატმოსფერის შექმნას ძველის რესტავრაციის ხელის შესაწყობათ. ამ მიზანს ემსახურებოდა სხვათა შორის უსირცხვოთ შეთხზული ზღაპარი საქართველოდან რუსეთში „რუსების“ მიერ სხვა და სხვა სიმდიდრეთა გატანის შესახებ, რომელსაც ერთ დროს გასავალი ჰქონდა პოლიტიკურათ დაინტერესებულთა და ზოგ გულუბრყვილოთა წრეებში. ეს ზღაპარი უკანასკნელ ხანებში რამოდენიმეთ მინელდა, რადგან „საზოგადოება“ თანდათან დგებოდა ახალი ფაქტების წინაშე იმის შესახებ თუ „როგორ ძარცვავს საქართველოს საბჭოთა რუსეთი“. მაგრამ მოსისინე ენები ჯერ სავსებით არ არის ამოგლეჯილი, ხოლო დაინტერესებულთა და გულუბრყვილოთა წრეები ისევ არიან ჩვენში. ასეთ შემთხვევაში და მსგავს ატმოსფერაში ნათქვამს და მოქნეულს მოზომვა სჭირდება, თუ განძრახ არ გინდა ჩაიდინო პროვოკაცია. ჩვენ ვუსაყვედურეთ გაზ. „ტრიბუნა“ს, რომ მის სარედაქციო წერილში, რუსეთიდან საქართველოს სიძველეთა ჩამოტანის შესახებ, ერთი ადგილი იძლეოდა საბუთს იმისას, რომ რედაქცია იზიარებს აზრს აქედან სიმდიდრეთა გატანის შესახებ უკვე საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგაც. ჩვენი მიზანი იყო გვაიძულებია გაზეთი კონკრეტულათ მიეთითებია იმაზე, თუ რა „გაიტანეს“, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, განემარტა და უფრო გარკვეული ენით ეთქვა ის, რისი თქმაც მას სურდა ამ საგნის შესახებ და გვგონია, რომ მივაღწიეთ ამას. გამოირკვა, რომ „ტრიბუნას“—როდესაც ის სწერდა განძეულობის გატანაზე—სახეში ჰქონია „პერფექტუმ“ და „პლუსქვამ პერფექტუმ“; დაწერილის გრამატიკულათ გარჩევის შემდეგ მან გამოგვიცხადა, რომ სიტყვა „დღემდე“ უნდა გავიგოთ პოლიტიკურათ და საბჭოთა ხელისუფლების დროს არ მომხდარა, არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან საბჭოთა ძალაუფლების დროს არ არის ძალადობა და სხვა და სხვა. ასე „დაიძვრინეს“ თავი—ვიტყვით ჩვენ „მეზობლურათ“—„ტრიბუნისტებმა“ ამ „ამბავიდან“ და ვარწმუნებთ მათ, რომ არასფერი სურვილი არა გვაქვს გავურთულოთ მათ ეს „მუშაობა“ და არ მივეხმაროთ ამ საქმეში. ყოველისფერი კარგია, რაც კარგათ თავდება, მაგრამ ნებას მივსცემთ თავს ვურჩიოთ მათ, რომ მეტი ანგარიში გაუწიონ ზოგიერთ მომენტს, რათა სხვისი უკვე საკმაოთ ჩანერგილი წისქვილები არ აამოძრავონ ხოლმე მოუზომელი სიტყვით...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

სასოფლო სამეურნეო კრედიტი.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოიწვია თათბირი ამხ. ლეჟავას თავმჯდომარეობით, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების საკითხის განსახილველად.

ჩეხოვის სახელობის გამოფენა.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). იალტაში გაიხსნა ჩეხოვის სახელობის ლიტერატურის გამოფენა.

შემარიგებელი კამერა.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შრომის სახ. კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან დაარსდეს შემარიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები წარმოებათა ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა შორის მომხდარ კონფლიქტების განსახილველად.

აქციზი ღვინოზე.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო) სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი დეკრეტისა, ადგილობრივ ღვინოზე სააქციზო გადასახადის შემცირების შესახებ.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიას მიენიჭა უფლება საზღვარგარეთიდან პროდუქტებისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების უბაჟოთ და უაქციზოდ შემოტანისა.

დაბეჭდილ ნაწარმოებთა რეგისტრაცია.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გაავრცელოს ფედერაციის ტერიტორიაზე წესები, დაბეჭდილ ნაწარმოებთა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

ნიჟეგოროდის ბაზრობა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაავალა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე თავის სავაჭრო ოპერაციების წარმოება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს. საიმპორტო საქონელი, რომელიც შეისყიდა სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ბაზრობისათვის, უკვე იგზავნება ნიჟნი-ნოვგოროდში. ყველა უფლებრივი ხასიათის საკითხები ექსპორტის და იმპორტის დარგში იქნება გადაჭრილი უშუალოდ ბაზრობაზე.

შეღავათები სპარსულ საქონელზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საბაჟოს სამმართველომ დააწესა შეღავათიანი სატარიფო განაკვეთები სპარსულ ნაწარმოების საქონელზე, რომელიც იგზავნება ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.

შრომის კანონების დარღვევისათვის.

შრომის ინსპექტორის შეკითხვის გამო, სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელების შრომის კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ, შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ განმარტა, რომ კანონი თანაბრად სავალდებულოა ყველასათვის და ამ შემთხვევაშიდაც ოქმები უნდა შედგენილ იქნეს საზოგადო საფუძველზე.

ფიქტიური ამხანაგობა.

შრომის დაცვის განყოფილებამ გამოარკვია, რომ ზოგიერთი მწარმოებლები განყოფილების კონტროლის თავიდან აცდენის მიზნით სდებენ თავიანთ მოსამსახურეებთან ფიქტიურ საამხანაგო ხელშეკრულებებს, რაც მათ საშუალებას აძლევს აწარმოვონ მუშების ექსპლოატაცია და შრომის ინსპექციის უფლებას უსპობს ჩაერიოს მათ შინაურ ურთიერთობაში. ამის გამო შრომის დაცვის განყოფილება შუამდგომლობს შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ ისინი იქნენ პასუხისგებაში მიცემული არა სახალხო არამედ შრომის სასამართლოებში, რომლებიც უნდა მოეწყოს ახლო მომავალში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მდგომარეობა იტალიაში.

ბორდო. 19 ივლისი (რადიო). მთავრობის გადაწყვეტილება, განიხილონ საკითხი საგარეო პოლიტიკის შესახებ, შეიტანს ერთგვარ დამშვიდებას იტალიის საერთო პოლიტიკურ ორიენტაციაში. სამინისტროს დეკლარაციის შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც წაიკითხავს ფაქტა პარლამენტის ცალ-ცალკე პარტიები შეიკრიბებიან იმსათვის, რომ განიხილონ საკითხი თუ რომელი ხაზი აირჩიონ მოქმედებისათვის. საერთო აზრით სამინისტროს დეკლარაცია საგრძნობლად შესცვლის საერთო მდგომარეობას და გამოიყვანს სახელმწიფოს გაურკვევლობისაგან.

რომი. 18 ივლისი (რადიო). დეპუტატთა პალატა სწყვეტს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას იმის გამო რომ შეძლება ჰქონდეს განიხილოს უკანასკნელად მომხდარი ამბები სახელმწიფოში. გაზეთები სწერენ სამინისტროს კრიზისის შესაძლებლობაზე.

ირლანდიაში.

რომი. 18 ივლისი (რადიო). დუბლინიდან მიღებულ ცნობებით, ირლანდიაში სამოქალაქო ომი გრძელდება, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დე-ვალერა, რომელიც მოკლული ეგონათ, კვლავ გამოჩნდა აჯანყებულთა შორის.

სარეპარაციო გადასახადი.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). ინგლისის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს იმით, რომ გერმანიამ შეიტანა თავისი კუთვნილი სარეპარაციო გადასახადი. მარკის კურსი საგრძნობლად აიწია.

პოლონეთში.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). ვარშავიდან იუწყებიან, რომ კორფანტიმ მიიღო ოფიციალური მინდობილობა კაბინეტის შედგენის შესახებ და ინახულა მრავალი პოლიტიკური მოღვაწე ყოფილი მინისტრები. მისი ცდა კაბინეტის დაარსებაზე ჯერ-ჯერობით უნაყოფოა.

ერთიანი პროლეტარული ფრონტი.

მოსკოვი. 19 ივლისი (რადიო). **ნორვეგიის პროფკავშირთა სეკრეტარიატმა განიხილა რა საკითხი ამსტერდამის კონფერენციაზე მოწვევის შესახებ, გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც მოითხოვს, რომ კონფერენციაზე მოწვეულ იქნეს კომინტერნი და პროფინტერნი და რომ კონფერენციაზე დასმულ იქნეს საკითხი ერთიან პროლეტარულ ფრონტის შესახებ.**

მორგანის დეკლარაცია.

პარიზი. „მატენი“ დაწვრილებით იტყობინება იმ დეკლარაციის შესახებ, რომელიც მორგანმა წაიკითხა ბანკირების კომისიის სხდომაზე. ამ დეკლარაციაში მორგანი აცხადებს: „გერმანიის სესხი თავის თავად არ წარმოადგენს არავითარ ინტერესს; ჩემის აზრით ამერიკაში მაინც უფრო მტკიცდება იმის რწმენა, რომ ამერიკის კეთილდღეობა რამოდენიმეთ დამოკიდებულია მოკავშირეთა კეთილდღეობაზე და რომ მეორეს მხრით მოკავშირე ქვეყნების კეთილდღეობა დამოკიდებულია გერმანიის სესხის აღდგენაზე. ამიტომ ამერიკელ ბანკირებს და კაპიტალისტებს შეეძლოთ გერმანიისთვის სესხის ფართე სახით მიცემა შემდეგი პირობებით: 1) ეს სესხი განაღდაულ უნდა იქნას მოკავშირეების ინიციატივით, 2) და გერმანიამ გარანტია უნდა მისცეს ამ სესხის გადახდისა, რისთვისაც მან ზედმიწევნით უნდა გამოარკვიოს თავისი შინაური ფინანსიური მდგომარეობა. მან აშკარად უნდა გამოსთქვას თავისი სურვილი ვალდებულების შესრულებისა იმ იმედით, რომ მისი ასრულებით კვლავ დაიმსახურებს ნდობას და კვლავ ამოუდგება სხვა სახელმწიფოებს გვერდმით.

მორგანი მოითხოვს გამსესხებელთა შორის სოლიდარობას, რაც მისცემს საშუალებას ამერიკას მონაწილეობა მიიღოს სესხში. ის სჩივის იმაზე, რომ ბანკირთა კომისიის განზრახვანი დამახინჯებული იყო. „ბანკირთა კომისიას, ამბობს მორგანი, არ ქონია განზრახული გერმანიის მთავრობის დავალიანების გამორკვევა, არამედ მას სურდა აღენიშნა თუ რა პირობებში შეიძლებოდა გერმანიისათვის სესხის განხორციელება. კომისიის მიზანი არ იყო გარმანიის ვალების საერთო ჯამის შემცირება, არამედ იგი სცდილობდა ყოველწლიურ გადასახადის მოწესრიგებას.

მორგანი არ არის კმაყოფილი პარიზში გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებიი იმის შესახებ, რომ ბანკირკირთა კომისიას სურდა შეემცირებია გერმანიის ვალები და რომ საფრანგეთი ამაზე არასდროს არ დასთანხმდება. ამ განცხადების გამო, მორგანი ამბობს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ბანკირთა კომიის მუშაობის ჩაშლაში უნდა დაეკისროს იმ ყალბ ცნობებს, რომელსაც პრესა აქვეყნებს.

დასკვნაში მოოგანი აცხადებს, რომ თუ კომისია ხელმეორედ შეიკრიბება, იგი მიაღწევს განსაზღვრულ შედეგებს.

ავსტრიის ეკონომიური კრახი.

ბერლინი. გერმანიის პრესა ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ავსტრიის მოსალოდნელ ფინანსიურ კრახს. გაზ. „ფორვერტსი“ იძლევა შემდეგ დამახასიათებელ ციფრებს ავსტრიის ფულის ნიშნების სრული დაცემის შესახებ. „ემისია უდრიდა ივნისში 3661 მილიარდ კრონს, ეს რომ გავანაწილოთ 6 მილიონ მცხოვრებლებზე, თვითეულ სულს შეხვდება 61 კრონა.

გაზეთი „გამბურგერ ნახრიხტენი“ ვრცელ წერილში ამტკიცებს ავსტრიისათვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას: „უეცრად ევროპის პოლიტიკის ქაოსსა, გაგიჟებაში, ამბობს გაზეთი, გაისმა ძახილი უფსკრულში გადაჩეხილ ავსტრიისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, იმ ავსტრიის, რომელიც შეიქნა ადამიანის დაჩლუნგებულ აზროვნების პირველი მსხვერპლი, რომელსაც 1918 წელში სურდა მთელი ქვეყნიერების გარდაქმნა. ვერსალის და სენ-ჟერმენის შემდეგ ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელი გახდა, რომ ქვეყანა უნახშიროთ, რომელსაც არ აქვს საგარეო ბაზარი, რომელიც ვერ ამზადებს თავისთვის პირველ მოთხოვნილების საგნების საკმაო რაოდენობას, და რომელიც დატვირთულია სხვადასხვა საბაჟო გადასახადებით—უნდა აუცილებლად დაიღუპოს“.

გაზეთი შემდეგ ამბობს, რომ ავსტრიას მუდამ პირდებოდენ კრედიტებს, რომელსაც მაინც არ შეეძლო აღედგინა დაღუპვის კარზე მისული ქვეყანა, მაგრამ დროებით მაინც გაუწევდა მას დახმარებას. ეს კრედიტები მიიღო მან ინგლისისაგან, და ამან ააცდინა ქვეყანას კრახი მხოლოდ 8 კვირის განმავლობაში. ეხლა, საფრანგეთმა დაინახა რა ავსტრიის უუგეშო მდგომარეობა, გადასწყვიტა გაუხსნას 55 მილ. ფრანკის კრედიტი. მაგრამ, გაზეთის აზრით, ეს უმნიშვნელო სესხიც, როგორც სხვა ნახევარი ზომები—არის „წვეთი ზღვაში“. გაზეთი ფიქრობს, რომ ევროპა კარგს იზამდა, რომ დაესვა საკითხი ავსტრიის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც შიმშილობა და სასოწარკვეთილება მიიყვანს აჯანყებამდე, სამოქალაქო ომამდე და ბოლშევიზმამდე“. გაზეთი აგრეთვე ფიქრობს, რომ ავსტრიის ფინანსიური კრახი მიიყვანს ავსტრიას იმ ზომამდე, რომ სას დაუწყებენ ხელების ფათურს იტალია, სერბია და სხვა ქვეყნები, რომელნიც „უფლების, კულტურის და ცივილიზაციის“ სახელით დაიწყებენ წესიერების აღდგენას ტყვისმფრქვევლებით და გაინაწილებენ ურთიერთობის ნადავლს, თუ რომ გაყოფის დროს ეს კულტურული გმირები არ დაუმტვრევენ ერთმანეთს ძვირფას თავებს.

უნგრეთი.

პოლიტიკური მდგომარეობა უნგრეთში.

ბერლინი. გაზეთი „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ ბუდაპეშტში სწარმოებს ნაციონალურ კრების პრეზიდენტის არჩევნები; 185 ხმიდან 146 ხმა მიიღო ნაციონალურ კრების ყოფილმა პრეზიდენტმა გასტონგალმა. ოპოზიციონურმა ჯგუფმა მისცა ცარიელი ბარათები. პრეზიდიუმში არ მოხვდა არც ერთი კაცი ოპოზიციონურ ჯგუფიდან. არჩევნების შემდეგ გალმა მიმართა კრებას ვრცელი დეკლარაციით, რომელშიაც ხაზი გაუსვა, რომ ის ფიქრობს მისდიოს 1908 წლის პოლიტიკას. ის ფიქრობს აღიაროს სიტყვის ფართო თავისუფლება და ეცდება დაიცვას ძველი ტრაციები, მაგრამ თუ მიზანშეწონილ მუშაობის შესრულებისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის საჭირო იქნება ენერგიული ზომების მიღება, ის არაფერს არ დაერიდება.

დეკლარაციის მოსმენის შემდეგ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ მეფე კარლოსს და დაადგინა გაუგზავნოს მეფის მეუღლეს ზიტას თანაგრძნობის ბარათი. სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებმა დემონსტრატიულად მიატოვეს დარბაზი დეკლარაციის წაკითხვის დროს.

სოციალისტების შეკითხვა საარჩევნო კანონის გადასინჯვისა და არჩევნების დროს მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამოძიების შესახებ გადადებულ იქნა და დადგენილ იქნა პირველყოვლისა განიხილონ დროებითი ბიუჯეტი. ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა თვით არჩევნების და საარჩევნო წესის უკანონოდ ცნობას.

სოციალ დემოკრატიამ წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელთა შორის პირველ რიგში დგას მოთხოვნილება კანონიერ ანაზღაურების შესახებ მისი ორი წინამძღოლის ჟომაის და ბაქსოს მკვლელობისათვის.

საკონტროლო კომისია.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). საკონტროლო კომისიამ, ბერლინში ყოფნის შემდეგ, სადაც ის ჩავიდა **გერმანიაში ფინანსიური კონტროლის მოწყობის** საშუალებათა შესასწავლათ, დაამთავრა თავისი მუშაობა და ბრუნდება პარიზში.

კიდევ მკვლელობა.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). ექიმი მარშევსკი, პოლონელი, გაზ. „კურიერ პოზნანსკის“ რედაქტორი მოკლულ იქმნა პოზნანში პანგერმანისტების აგიტატორის მიერ იმ წერილების მოთავსებისათვის, რომელიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის სულის ჩამდგმელების და პანგერმანისტების კამპანიის წინააღმდეგ.

იარაღის საწყობი.

ბორდო 20 ივლისი (რადიო). საკავშირო პოლიციამ ბიშოფეროდეში (გეიმარი) ხელში ჩაიგდო იარაღის საწყობი, სადაც აღმოჩნდა თოფები, რევოლ ვერები, ტყვიისმფრქვევლები და პატრონები; ეს საწყობი ეკუთნოდა „ახალგაზრდა გერმანიის“ საზოგადოებას, რომლის რამდენიმე წევრი დაპატიმრებულია.

თავდაცვის კანონის წინააღმდეგ.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). **მიუნხენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბავარიის ნაციონალისტების სახალხო პარტიას განზრახული აქვს ბავარიის რეფერენდუმის მოხდენა რათა წინააღმდეგობა გაუწიოს თავდაცვის კანონის გატარებას.**

გარანტიების კომისია.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). **პარიზში გამგზავრების წინ გარანტიების კომისიამ წარუდგინა გერმანიის მთავრობას ნოტა, რომელიც მოითხოვს ბიუჯეტის, იმპორტ-ექსპორტის კონტროლს, თანხების დაბანდებას და სტატისტიკურ ცნობების გამოქვეყნებას.**

ვერცხლის გატანა.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). ამერიკის ფედერალურ სტატისტიკურ ბიულეტენის (ცნობით გერმანიამ 1921 წელში გაიტანა შეერთებულ შტატებში 6 მილიონი

შეერთებული შტატები და ევროპა.

ნაუენი. 20 ივლ. (რადიო). სტატს-სეკრეტარ ხიუზმა განუცხადა ამერიკელ ჟურნალისტს გამილტონს, რომ შეერთებული შტატების კონგრესმა გამოსთქვა სურვილი, რომ ამერიკის მთავრობამ მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა ნაციათა ლიგის მუშაობაში, რათა დამყარებულ იქნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება წესრიგის და მშვიდობიანობის აღდგენისაკენ.

მეკკაში.

ნაუენი. 20 ივლისი. კაირიდან იუწყებიან, **რომ მეკკაში ხდება განუწყვეტელი მანიფესტაციები პალესტინაზე ინგლისის მანდატის წინააღმდეგ.**

იტალიაში.

ჩანოვერი. 20 ივლისი (რადიო). ფაშისტებმა არ გამოუცხადეს ნდობა მთავრობას. ჯიოლიტის მომხრეებმა სალანდრომ, აგრარიებმა და ნაციონალისტებმა ნდობა გამოუცხადეს ფაქტას. ფაშისტებმა მოახდინეს ექსცესების მთელი რიგი იტალიის ბევრ ადგილებში და მოაწყვეს გაფიცვა ორ პროვინციაში.

ბორდო 20 ივლისი (რადიო) ფაქტას მოადგილეთ 1 რიგში ასახელებენ **ორლანდოს,** რომელსაც მხარს დაუჭერს ნაციონალური პარტია და დემოკრატები.

რუსეთი და ინგლისი.

კროიდენი. 20 ივლისი (რადიო). სავაჭრო პალატების ბრიტანეთის კავშირის წარმომადგენელი ზერდიფენდმა, რომელიც იყო გენუაში, როგორც ექსპერტი, გამოსთქვა აზრი, რომ ინგლისის ურთიერთობა რუსეთთან შესაძლებელია, თუ რუსები თავის თავს პასუხისმგებლად ჩასთვლიან მოსავლის გარანტიით რუსეთის მიერ გაღებულ თანხაზე.

„სრულებით უსარგებლოა, სთქვა ფენდმა, ვაჭრობის წარმოება იმ ხალხთან, რომელთაც შეუძლიან მითხრან ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომ მათი ქვეყნის კანონები უკრძალავს ამგვარად მოქცევას, და რომლებიც მოიქცევიან ისე, რომ ფაქტიურად ხელშეკრულება გადაიქცევა არარად“.

პუანკარე და ლოიდ ჯორჯი.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის შეხვედრას მნიშვნელოვანი იქნება დსარგებლობას მოიტანს მხოლოდ იმას შემდეგ, როდესაც საგარანტიო ქვე-კომისია გააკეთებს მოხსენებან და საკონტრიბუციო კომისია თავის აზრს გამოსთქვამს, და, აგრეთვე, როდესაც ყოველივე ამას ორივე მთავრობა გაეცნობა.

ამერიკის დამოუკიდებელი მუშათა პარტია

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). შეერთებულ შტატებში დაარსდა დამოუკიდებელი მუშათა პარტია. იმის გზავსი „როგორიცაა ინგლისში.

კროიდენი. 20 ივლისი (რადიო). (დასაწყისი არაა მიღებული)... არ შეუძლია ენერგიული ბრძოლა აწარმოოს სახელმწიფოში ფაშისტების წინააღმდეგ ისეთი სერიოზული უწესრობის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც უკვე ადგილი ქონდა იტალიაში. დეპუტატ—პაშისტო რუსელინიმა, გამოვიდა რა პალატაში დღეს, განაცხადა. „მალე ფაშისტები გადასწყვეტენ საკითხს აწარმოონ თავისი ბრძოლა არალეგალურად თუ დაადგენ აჯანყების გზას. მე საზეიმოდ ვაცხადებ, რომ არავითარ კაბინეტს არ ძალუძს ქვეყნის მმართველობა, თუ მის პროგრამაში შეტანილი იქნება ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა.

პუანკარეს მოგზაურობა ლონდონში.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). პუანკარე აცხადებს, რომ მისი ლონდონში გამგზავრების დღე ჯერ არ არის დანიშნული.

ირლანდიაში.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). ირლანდიის მთავრობის ჯარებმა იგემეს კიდევ ახალი გამარჯვება, მათ ჩაიგდეს ხელში რესპუბლიკანელების შტაბის ბინა ლიმერიკოში. რესპუბლიკანელები საბოლოვოდ დამარცხდენ.

გაფიცვები ამერიკაში.

ნაუენი. 20 ივლისი (რადიო). **ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკის მრავალ ქალაქებში დაიწყო შეიარაღებული ექსცესები გაფიცვების გამო. შეერთებულ შტატების მთავრობას განზრახული აქვს დაიხმაროს ჯარები გაფიცვების ჩასაქრობად. სოციალისტებს განზრახული აქვთ გამოაცხადონ საერთო გაფიცვა.**

გერმანიის პარტიებში.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). მეუმრავლესეთა სოციალისტებმა და დამოუკიდებლებმა გამოაქვეყნეს პროკლამაცია, რომელშიაც ისინი იმართლებენ თავს, რომ რეიხსტაგის მუშაობის შეწყვეტა მათ მიერ არ არის გამოწვეული. ორივე პარტიები ამბობენ, რომ კრიზისი დაახლოვებს მათ ერთმანერთთან და ისინი მიაღწევენ საბოლოვო მიზანს.

ლიუდენდორფის განცხადება.

ბორდო. 20 ივლისი (რადიო). გერმანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლიუდენდორფის განცხადება, რომელშიაც ის ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, როგორც ინიციატორებს რატენაუს მკვლელობისა, რითაც მათ სურდათ გამოეწვია სამოქალაქო ომი, რომელიც გათავდებოდა გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

უცხოეთის ცხოვრება

ერთი „სცენა“ იტალიის პარლამენტში

რომი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან იმ ინცინდენტების შესახებ, რომელთაც ადგილი ქონდათ დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატმა ლაცცარმა (შეურიგებელ სოციალისტების ჯგუფიდან) გამოსთქვა მწუხარება, რომ იტალიის მთავრობა ჯერ კიდევ არ შესდგომია ნამდვილ შემარიგებელ პოლიტიკის წარმოებას საბჭოთა რუსეთის მიმართ. ის დაჟინებით მოითხოვდა დელეგაციის გაგზავნას რუსეთში მყოფ იტალიის სამხედრო ტყვეების დაბრუნების საკითხის გადასაწყვეტად, მოითხოვდა მოსკოვში, ოდესაში და კიევში საელჩოების დაარსებას, და რუსეთის ძველი მთავრობის ყველა თანხების და მთელი ქონების საბჭოთა რუსეთის საკუთრებად აღიარებას.

გაზ. „ჯორნალე დ, იტალიას“ აზრით, ლაცცარი მიუთითებდა იმ სარგებლობაზე, რომელიც მიიღო რუსეთის ხალხმა საბჭოთა რეჟიმისაგან და მოუთხრო თუ რა ნახა მან, მისი მოსკოვში ყოფნის დროს. მისმა ნაამბობმა გამოიწვია შემდეგი „სცენა“.

იუნტა (ფაშისტი) თუ იქ ყველაფერი კარგადაა, რატომ თქვენ იქ არ დარჩით? (სიცილი).

ლუცცი (ფაშისტი) კი მაგრამ, მას ჰქონდა ბილეთი იქით და აქეთ (ძლიერი სიცილი).

ლაცცარი (ზიზღით და ხმის ამაღლებით) მე დავბრუნდი იქიდან დიდის აღტაცებით იმ თავდადების წინაშე, რომელსაც ეს ხალხი იჩენს, და სურს განახორციელოს ძმობა-ერთობის მაღალი იდეალები. ის აღნიშნავს, რომ იტალიის მთავრობა არ შეუთანხმდა ბოლშევიკურ მთავრობას, იტალიის მუშაკების სამშობლოში დაბრუნების შესახებ, იმ მუშაკების, რომელნიც დაქსაქსულნი არიან რუსეთის ტერიტორიაზე.

ჯიუნტა რატომ თქვენ არ მისწერავთ ლენინს?

ლაცცარი თუ რომ ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი მისწერდა რუსეთის მთავრობას, ლენინი მზად იქნებოდა ყოველგვარი დახმარება გაეწია ამ საწყალ პროლეტარებისათვის.

შანცერი ეს მართალი არ არის.

ლაცცარი საბჭოთა მთავრობა კარგადაა განწყობილი იტალიისადმი. ბურჟუაზიულ პარტიებს არ სურთ მშრომელთა წარმომადგენლების მეგობრობა.

ჯიუნტა მშრომელთა წარმომადგენლები ფრაკებში!

მანცონი (მიმართავს ფაშისტებს) თუ კი თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსეთისა, რატომ არ აწყობთ ექსპედიციას (ძლიერი სიცილი, იცინიან ფაშისტებიც).

ჯიუნტა. თქვენ სულ მუდამ დამსჯელი ექსპედიციები გელანდებათ.

დე-ნიკოლა (თავმჯდომარე) ზარს რეკავს და სთხოვს დეპუტატ ჯიუნტას ნუ აწვეტინებს სიტყვას ორატორს.

ლაცცარი სწუხს იმის გამო რომ მთავრობა აძლევდა რა რწმუნებას მას და ამხ. ფლორას წასულიყვენ რუსეთში ყოფილ სალდათების კომისიითურთ, იტალიის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დასაბრუნებლად, არავითარი ღონისძიება არ მიიღო და არ დაეხმარა მათ საბჭოთა რესპუბლიკაში შესვლის ნებართვის აღებაში

ჯიუნტა რუსეთის მთავრობა იყო წინააღმდეგი.

ლაცცარი სიცრუეა. ჩვენ მიგველოდენ და კიდეც შეგვხდენ დიდი სიამოვნებით.

ფლორა (სოც.) ყველაფერში დამნაშავეა ჩვენი მთავრობა. დეპუტატი ჯიუნტა და დეპ. ფლორა უმასპინძლდებიან ერთმანეთს მკვახე ლანძღვა-გინებით.

თავმჯდომარე ძლივს-ძლივობით შვიდებს მათ.

გარეშე საქმეთა მინისტრი რი უპასუხებს ლაცცარის და იძლევა შემდეგ განმარტებას: იტალი მისია, რომელიც გაიგზავნა რუსეთშ შესდგება სახელმწიფო პერსონალი საუკეთესო ელემენტებისაგან. ფინანსთა მინისტრი მზადაა გახსნას კრ დიტი კომისიის გასაგზავნად და სა ხედრო ტყვეების დასაბრუნებლად, იმედია ეხლა მაინც საბჭოთა რუს თის მთავრობა უარს არ ეტყვის კო მისიას ნებართვის მოცემაში.

მოსკოვში, ოდესაში და კიევ ელჩების დანიშვნის შესახებ, ლა რაკი იყო მოსკოვში და ჩიჩერინ აღნიშნა, რომ იტალია ახალ რე კარგად ეპყრობოდა. ელჩების გაგზ ნა დამოკიდებულია ზოგიერთი გ რანტიებზე, რომელიც იტალიას ჯ კიდევ არ მიუღია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ა ჭ ა რ ა.

თესვის კამპანიის ანგარიში. ამ ქამად აჭარის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ადგენს დაწვრილებით ანგარიშს აჭარაში წარმოებულ მიმდინარე წლის თესვის კამპანიის შესახებ. აჭარის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა შეიძინა კინტრიშის რაიონში 1439 ფუთი სიმინდი და მიიღო სესხად საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისაგან 7078 ფუთი ამერიკული სიმინდი, უკანასკნელი, როგორც დასათესად გამოუსადეგარი დაურიგდათ მცხოვრებლებს იმ პირობით, თუ რომ ისინი გადასცვლიდენ მას სათესლე სიმინდზე. ამ გვარად სულ შეძენილი იყო 8517 ფუთი სიმინდი თესვის კამპანიისათვის. ამ რაოდენობიდან 2900 ფუთი გაიგზავნა ქედაში და ხულოში, 600 ფუთი ყანადიდის რაიონში, 400 ფუთი აჭარის წყალის რაიონში, 300 ფუთი ქობულეთის რაიონში და 945 ფუთი დაურიგდა ნაწილ-ნაწილ ბათუმის რაიონის სხვა და სხვა საბჭოთა დაწესებულებებს და მოსამსახურეებს. განსაკუთრებულ შუამდგომლობით მიწათმოქმედების კომისარიატმა გაიღო ბათუმის გამაგრებელ რაიონის შტაბის აგრონომიულ კომისიის განკარგულებაში 195 ფუთი სიმინდი, სულ თესვის კამპანიისათვის დაიხარჯა 5591 ფუთი სიმინდი. თესვის კამპანიის გატარების დროს მთავარი დაბრკოლება მდგომარეობდა სანტრანსპორტო საშუალებათა და ტომრების უქონლობაში. საჭირო იყო მუშებს გადაეხადათ გადასახადი ტვირთების გაჩერებისათვის და შეეძინათ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. თესვის ცენტრალურ კომისიამ გადასწყვიტა სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით გაეყიდა დარჩენილი სიმინდი საჭირო ხარჯების დასაფარავად. ამნაირად გაყიდული იქნა 2532 ფუთი სიმინდი. შემოსავალ-გასავალი გამოიხატა შემდეგ ციფრებში: შემოსავალი სახალხო კომისართა საბჭოსაგან 600 მილ. მან; გაყიდულ სიმინდის ანგარიშში (ფულები ჯერ კიდევ სრულად არ არის მიღებული) 371.150.000 მან. გასავალი: სიმინდის შესაძენად 390 მილ. მან., ადგილებზე გადატანა—198.200.000 მან., წვრილმანი ხარჯები და ინვენტარის შესაძენათ—184729.500 მან. ჩაწერილია საქართ. მიწათმოქ. სახ. კომ. დებეტში—234.484.000 მან. ნაშთი— 25.776.500 მან.

ნათესები ზემო აჭარაში ქედადან იტყობინებიან: ამ უკანასკნელ ხანებში ზემო აჭარაში მოვიდა წვიმები, რომელმაც გამოასწორა ნათესების მდგომარეობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოსავალს ხელს ვეღარ შეუშლის ცუდი ამინდები და ნათესები დარჩებიან კარგ მდგომარეობაში მოსავლის მოწევამდე. ამჟამად ნათესებს კარგი პირი უჩანს. მცხოვრებთა განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი კარგია. მცხოვრებნი ეგუებიან ახალ პირობებს და დახმარებას უწევენ საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობის საქმეში. გამოცოცხლება ეტყობათ აგრეთვე საბჭოთა ორგანოებს, რომელნიც თავიანთ მუშაობაში იზიდავენ გლეხთა მასებს.

ბათუმი.

მელითონეთა დახმარება დამშეულებს, მელითონეთა კავშირის უკანასკნელ საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა საინფორმაციო ხასიათის მოხსენება ამხ. ავაქოვისა, ტფილისში განზრახულ ყრილობის მოწვევის შესახებ და არჩეულ იქნენ ყრილობაზე გამოსაგზავნად კავშირის 12 დელეგატი. ყრილობაზე გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელიც მიიღო საქართველოს მელითონეთა კავშირმა სარატოვის დამშეულ მელითონეთა კავშირისაგან. კრებამ დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს სარატოველებს და სავსებით დაუჭიროს მხარი თბილისში მიღებულ რეზოლიუციას.

აზერბაიჯანი

სასურსათო გადასახადი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, რომელიც მოუვიდა სასურსათო სახ. კომისარიატს, ზაქათალას მაზრაში დათესილია: ხორბალი—10222 დეს. ქერი 2.061, სიმინდი—5.500, შვრია 980 დეს. ვენახები—169, ნიგვზ პლანტაციები—2.827, ხილის ბაღ ბი—134, ბოსტნეული—70, ლობიო 12 დ., კართოფილი—1, თამბაქო მსხვილფეხა საქონელი გატარებულ რეგისტრაციაში 30509, ამ რიცხვიდან გადასახადი ვრცელდება 5.50 მსხვილ ფეხა საქონელზე.

ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკაში. ფაბრიკაში მუშაობს 170 მუშა მოსამსახურეზე მეტი. შრომის ანაზღაურების პირობები დამაკმაყოფილებელია. გაჭირვებას განიცდიან მხოლოდ მრავალ რიცხოვან ოჯახების პატრონები. ლენინის ფაბრიკის მუშებს ეძლევათ ყოველდღე ორ-ორი გირვანქა საკუთარ ფურნეში გამომცხვარი პური, რომელიც უჯდებათ 100.000 მან. გირ. და აგრეთვე გვარიანი ულუფა, რომელიც შესდგება ბრინჯისაგან, შაქრისაგან და სხვ. ყველა ამ საგნების ფასი ექვითება მათ ჯამაგირიდან. ჯამაგირს წესიერად ღებულობენ. მუშის საშუალო ხელფასი—50 მილ., ზოგიერთებს აქვს 90 მილიონიც. უფრო ნაკლებ მოწესრიგებულია ბინის საკითხი, რომლის რემონტი ფერხდება სათანადო მასალების უქონლობის გამო. დიდი საჭიროებაა აგრეთვე ელექტრონის მუშებისა. რიგიანათ მუშაობს ფაბრიკასთან არსებული კლუბი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმატებით მიმდინარეობს. საქარხნო კომიტეტი მახლობლად არსებობს საფაბრიკო ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია ორ დიდ ოთახში.

პარტიული ცხოვრება. ბინაგადის რაიონში დახმარების იაჩეიკები მოწყობილია თითქმის ყველა წარმოებებში. დახმარების იაჩეიკების მოწყობის საორგანიზაციო მუშაობის გასაძლიერებლად გამოყოფილნი არიან სპეციალური ორგანიზატორები. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა რაიონში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. არსებობენ წერა-კითხვის სკოლები კომუნისტებისათვის.

კარგად მუშაობენ თათრების და რუსების პოლიტიკური წრეები. ვაგზლის იქითა რაიონში ამ უკანასკნელ ხანებში საორგანიზაციო მუშაობა გამოიხატა უმთავრესად დახმარების იაჩეიკების მოწყობაში. მიუხედავათ რკინის გზის მუშების მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა, დახმარების იაჩეიკები მოწყობილია ყველა წარმოებებში. ერთი მათგანი, რომელიც არსებობს პროფესიონალურ-ტეხნიკურ კურსებთან, მთლიანად შესდგება თათრებისაგან. დახმარების იაჩეიკები მუშაობენ კომიაჩეიკებთან შეთანხმებით. თითქმის ყველა იაჩეიკებში აღრიცხვის და ინფორმაციის საქმე რიგიანად არის დაჩენებული. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ცოტა-რამ არის გაკეთებული, მიუხედავათ საკავშირო საბჭოს დადგენილებისა წერაკითხვის მოსწავლე მუშების 2 საათით ადრე განთავისუფლების შესახებ, რკინის გზას სამმართველოდან სათანადო განკარგულება ჯერ არ მოსულა. ბაილოვობიბი-ეიბის რაიონში ქალების განყოფილების მუშაობა გამოიხატა განსაკუთრებით დამშეულთა დახმარების აღმოჩენაში. რაიონში დარიგებულია 45 დამშეული ბავშვი. ქალაქის რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გამოიხატა სალიკვიდაციო პუნქტებში კომუნისტების დასწრების შემოწმებაში და შკოლების მდგომარეობის გამოკვლევაში. დიდი ნაკლულოვანებაა სამკურნალო სახელმძღვანელოებისა. რაიონში სავსებით მოწყობილია 20-დე პოლიტიკური წრეები. წრეებში პარტიულ ამხანაგების გარდა იღებენ მონაწილეობას ბევრი უპარტიო მუშები, ახალგაზრდა კომუნისტები და მუშა ქალები.

პურის სესხი. სრულიად აზერბეიჯანის სამხედრო კოოპერატივის გამგეობამ ბაქოს გარნიზონის სამხედრო კოოპერატივის წარმომადგენლების თანადასწრებით დაადგინა მიუხედავად სამხედრო კოოპერატივის შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობისა შეიძინოს საბჭოთა რუსეთის პურის სესხის ობლიგაციები 1000 ფუთი პურის კვალობაზე. ყიდვაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხედრო კოოპერატივები, არამედ მათი საშუალებით აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებიც.

ალმასკომის დებულების ახალი პროექტი

გაზეთ კომუნისტის № 157-ში მოთავსებულ წერილის (შინ. საქ. სახ. კომ. მიერ შემუშავებულ ალმასკომების ახალი პროექტის შესახებ) ახსნა-განმარტებისთვის საჭიროთ ვთვლი აღვიშნო შემდეგი. ალმასკომების ახალი დებულების პროექტი ემყარება არა ფინანსიურ ხასიათის მოტივებს, არამედ სხვა გვარ მოსაზრებებს. აი ეს მოსაზრებანი.: ა) ალმასკომების მასსასთან დაახლოვება ბ) თემალმასკომის თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობის გადიდება და მით ვ) ალსრულების გაძლიერება. ამ მიზნებს პროექტი შემდეგ საშუალებებით აღწევს. ა) დღემდის თემის ალმასკომი სდგებოდა უმეტესად ერთ-სოფლიდან არჩეულ საბჭოს წევრებისაგან, ვინაიდან თემის ალმასკომის სხვა და სხვა სოფლის წარმომადგენლებთაგან შემდგარი ადვილად გასაგებ მიზეზის გამო უმოქმედო იქნებოდა.

ამ რიგად თემალმასკომში წარმომადგენლობის ყოლა შეეძლო მხოლოდ თემის ერთს ან ორ სოფელს და სწორედ იმ სოფელთ, რომელნიც ძალიან ახლოს არიან თემის ცენტრთან. პროექტი ავალებს რა თემის ალმასრულებელი მუშაობის წარმოებას თემის ალმასკომის თავმჯდომარეს, ალმასკომს უტოვებს კონტროლის უფლებას და თავმჯდომ. ამა თუ იმ საკითხზე დირექტივების მიცემის შესაძლებლობას, როდესაც ამ დირექტივების მიცემას საჭიროდ დაინახავენ ან ალმასკომის თავმჯდომარე ან ალმასკომის წევრები ამნაირად ალმასკომის ფუნქციები ნაწილობრივ იკვეცებიან ალმასკომის ევალება პროექტის ძალით გადაჭრა იმ რთულ სათემო კვითხვებისა, რომელთა გადაწყვეტას ამა თუ იმ მოსაზრებით ვერ ან არ კისრულობს ალმასკომის თავმჯდომარე. ხოლო უკანასკნელის მოვალეობას შეადგენს თავის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მთელი ალსრულებითი მუშაობის წარმოება. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელს ხდის ალმასკომში ყველა სოფლების წარმომადგენლების არჩევას, ვინაიდან რაც უნდა დიდი ავილოთ ჩვენი თემის რადიუსი მაინც კვირაში ერთჯელ ყველა წევრების შეკრება სიძნელეს არ წარმოადგენს. მეორეს მხრივ, პროექტი, აძლევს რა თემის თავმჯდომარეს უფლებას აწარმოოს მუშაობა თავის შეხედულებებისსამებრ, ადიდებს მის პირად პასუხიმგებლობას და შეუძლებელს ხდის იმ მოვლენების განმეორებას, რომელთაც დღეს აქვთ ადგილი, ვინაიდან თემალმასკომის თავმჯდომარე ამოეფარება რა კოლეგიას, თავს სრულიად თავისუფალს გრძნობს პასუხისმგებლობისაგან. ყველა ეს რათქმა უნდა აძლიერებს ალსრულებას. ეს უკანასკნელი მოსაზრება ვფიქრობ არ საჭიროებს განმარტებას, მით უფრო, რომ, როგორც ვიცით, ერთპიროვნული მმართველობის იდეამ რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მოიპოვა სრული განხორციელება ნაცვლად გამოცდილების გამო უკუგდებულ კოლეგიალურ პრინციპისა. საბჭოთა ორგანიზმის გაჯანსაღება უნდა დაიწყოს საბჭოთა ორგანიზმის უჯრედებიდან. ასეთი უჯრედები საჭიროა დავუახლოვოთ ხელისუფლების უჯრედების მასსას და გავაძლიეროთ მუშაობის ინტენსიობა, რომ მთელი სხეული მოღონიერდეს.

და პროექტი სწორედ ამ მიზნისკენ არის მიმართული. თუ გარდა აქ ზემოაღნიშნულისა პროექტს შტატების, და მაშასადამე ხარჯების შემცირება მოაქვს ეს საორგანიზაციო თვალსაზრისით, მხოლოდ დადებითი. „დანართია“ რომელიც **შეიძლება დასძენოდა და შეიძლება არ დასძენოდა პროექტს.**

რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან ხაზს მაზრალმასკომებში განყოფილებათა შემცირებას ეს გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1) პირად შემადგენლობის უკეთ შერჩევის, ხარჯების ეკონომიის და საქმის კარგათ წაყვანების მიზნით პროექტი აწესებს ალმასკომებში ერთიანი კანცელარიას, 2) ვინაიდან კოლეგიალობის პრინციპი საერთოდ უარყოფილია და განსაკუთრებით კი მაზრის ჯანმრთელობისა, მიწათ-მოქმედებისა, განათლების განყოფილებებში, მათი არსებობა სრულიად უმიზნო იქნებოდა, მათ მაგიერ რჩებიან ამა განყოფილების გამგეები, ხოლო ვინაიდან ამ სახელის შენარჩუნება ასეთ პირობებში ზედმეტია სათანადო კომისარიატების რწმუნებულნი.

ყოველშემთხვევაში ფრიად სასურველია, რომ ამ პროექტების გარშემო ცხოველი დისკუსია გაიმართოს. ეს მისცემს შ. ს. ს. კ. შესაძლებლობას უფრო სწორედ გადაჭრას აღნიშნული კითხვები.

გ. გაბუნია.

◆

ქრონიკა

◆ **კოლექტიური ხელშეკრულებათა მოქმედება** უმაღლესმა სატარიფო საბჭომ აცნობა ყველა სახალხო კომისარიატებს, რომ თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ყველა კოლექტიური ხელშეკრულებები, დადებული, როგორც სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ, ისე სამეურნეო-ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა დაწესებულებების მიერ ითვლება გაუქმებულად; სანამ მათ არ გაიხილავს სატარიფო საბჭო და არ დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო. შეწყვეტილ იქნეს 15 ივლისიდან ჯამაგირების დარიგება ხელშეკრულების მიხედვით და შემდეგში აწარმოვონ ეს ხელშეკრულების დადებამდე არსებულ ნორმის მიხედვით. ეს განკარგულება ვრცელდება ფედერატიულ დაწესებულების ყველა ორგანოებზე, ხოლო არ ვრცელდება წარმოებებზე სადაც სამუშაო ქირა იცემა დადებულ ხელშეკრულებათა განაკვეთების მიხედვით.

◆ **თბილისის ბაზარზე.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობებით ამერიკული ფქვილის ფასი დაწეულია, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო ხარისხის—ნელსონის, მარსელის და სხვებზე. თითქოს ფასი მტკიცდება ამაზონის ფქვილზე, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს.

მარცვლეულობა: ხორბალი და ქერი იაფია, მაგრამ ჯერ არ ემჩნევა შემდეგი ფასის დაწევა. ცოტათი გაიაფდა გოლანდიური ნატეხი შაქარი, რამოდენიმედ ფასი დაიწია ნარმაზე. რუსული საქონელი უფრო და უფრო გადის ბაზარზე. გამოჩნდა მანუფაქტურის და ასანთების გარდა—აგრეთვე სხვა და სხვა ნაწარმოები: რეზინების და ღვედების დიდი პარტია, ფასი—დიუმი-არშინი 126 20 კ. ოქროთი, კალოშები „ტრეუგოლნიკის“ ქალის და კაცის 1 წყვილი—2 ოსმალური ქაღალდის ლირა და 90 პიასტრი.

◆ **ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე.** ამხ. კიკალეიშვილი დაბრუნდა გუშინ აბასთუმან-ბორჯომის კურორტებიდან, სადაც ის იმყოფებოდა სამსახურის საქმეებისათვის.

მუშათა ფაკულტეტში

რეზოლიუცია

მიღებული თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშათა ფაკულტეტის საერთო კრებაზე 6 ივლისს 1922 წელს.

მოისმინა რა მუშათა ფაკულტეტის დეკანის ი. პ. ბირიუკოვის და კურსკომის თავმჯდომარის ამხ. ემიაშვილის მოხსენება სტუდენტების საერთო კრება ადგენს, რომ:

1) მიუხედავად მძიმე ეკონომიურ პირობებისა და საორგანიზაციო პერიოდისა, გასულ სამოსწავლო წელმა გვიჩვენა მუშათა ფაკულტეტის არსებობის მთელი აუცილებლობა, მიზან შეწონილება და მნიშვნელოვანება.

2) საერთო კრება მადლობას უცხადებს განათლების სახალხო კომისარიატს, პროფკავშირთა საბჭოს, სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმს ფაკულტეტის არსებობის გასული პერიოდის განმავლობაში, მისთვის მატერიალურ და მორალურ დახმარების გაწევაში.

ფაკულტეტის პრეზიდიუმის და ამხ. მასწავლებლების მიერ გაკეთებულ მუშაობას სთვლის ისეთად, რომელმაც საუცხოვო შედეგები მოიტანა და რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსაგან გაძლიერებულ მატერიალურ დახმარებას, საჭიროა მუშაობის განვითარებისათვის და ფაკულტეტის საცად დაწესებულებების სავსებით მოწყობისათვის.

4) ადგენს ღრმა მადლობა გამოუცხადონ მუშათა ფაკულტეტის პრეზიდიუმს და მასწავლებლებს ფაკულტეტის დეკან ი. პ. ბირიუკოვის სახეში თავგანწირული მუშაობისათვის და ამ მუშაობისადმი პატიოსნებით სიხდისიანად და სიყვარულით მოპყრობისათვის, მიუხედავად იმისა რომ განსაკუთრებით არა სასურველ პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა.

5) სცნობს სასურველად გაგრძელდეს, საზაფხულო დასვენების განმავლობაში მაცადინეობა საშუალო ძალის ჯგუფებისთვის, იმ მიზნით, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეს უახლოეს დროში დაამთავრონ მუშათა ფაკულტეტი და გადავიდენ ნორმალური ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში.

6) ეს რეზოლიუცია ეუწყოს ყველა იმ ორგანიზაციებს და კავშირებს, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ ფაკულტეტის მოწყობაში და მუშაობაში.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სახალხო სასურსათო კომისარიატში

აბრეშუმის ძაფის რეალიზაცია.

სახალხო სასურსათო კომისარიატი სასწრაფო ზომებს იღებს აბრეშუმის ძაფის რეალიზაციისათვის. კომისარიატს ამ ჟამად 200-მდე ფუთი ძაფი აქვს. თუ ამ ძაფის განაღდება ვერ მოხერხდება ბათომში ხელსაყრელ პირობებში, მაშინ მოლაპარაკება გაიმართება მოსკოვთან.

ფურაჟის დამზადება.

სახალხო სასურსათო კომისარიატი სიღნაღის მაზრაში ფართო ოპერაციებს იწყებს მარცვლეულ ფურაჟის დასამზადებლად. სიღნაღის სამაზრო სასურსათო კომისარის განკარგულებაში უკვე გადაიდო საკმაო თანხა ამ ოპერაციებისათვის.

ულუფის საკითხი.

სახალხო სასურსათო კომისარიატი აგვისტოს პირველიდან სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეებს აღარ დაურიგებს ულუფის ანგარიშში ნავთს, თამბაქოს, წუმწუმას და ზოსტნეულს მუშა მოსამსახურეებს ამასთანავე არც ამ ულუფის ეკვივალენტი მიეცემათ.

აბრეშუმის პარკის დამზადება.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა თავის საგანგებო რწმუნებულის ამხ. მ. ი. დავიდოვის განკარგულებაში დამატებით 100.000 არშინი ფართლეული გადასდო წრევანდელ მოსავლის აბრეშუმის პარკის დამზადების გასაძლიერებლად. ამხ. დავიდოვი ივლისის 17-ს უკვე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

ფართლეული წითელ არმიელებისათვის.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა სამხედრო კოოპერატივს თავის საწყობებში ფართლეული მისცა იმ პირობებით, რომ ეს ფართლეული გაჰყიდოს განსაკუთრებით წითელ არმიელებზე და მათს ოჯახებზე 10 პროც. დაკლებით, ე. ი. იმ ფასებში, როგორც ეძლევათ სახალხო სასურსათო კომისარიატის მაღაზიიდან პროფკავშირების წევრებს.

სასურსათო გადასახადი აჭარისტანში.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება აჭარისტანის სახალხო სასურსათო კომისარიატის წარმომადგენელი, რომელიც ჩამოსულია მთლიან ნატურ-გადასახადთან დაკავშირებულ საკითხების გამოსარკვევად. მისი გადმოცემით აჭარისტანში ნატურ-გადასახადის შეგროვება პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, თუმცა არის ისეთი ტენდენცია, რომ ნატურის ნაცვლად ფული იქნეს შეგროვილი. აჭარისტანის წარმომადგენელი ხელსაყრელათ სთვლის გადასახადში ჩაისა და მანდარინის მიღებას.

სასურსათო სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობა

(საუბრიდან)

სასურსათო სახალხო კომისარიატის უნივერსალური მაღაზია, სასახლის ქუჩაზე, განაგრძობს საქონლის დიდ ბრუნებას. მყიდველთა დიდი რიცხვით წინანდებურად ივსება მაღაზია, იმ დროს, როდესაც ბაზარზე საზოგადოდ ემჩნევა მოდუნება. ჩვენი თანამშრომელის კითხვაზე თუ რით აიხსნება მაღაზიის ასეთი წარმოება, სასურსათო კომისარის მოადგილე ამხ. ამირაგოვმა განაცხადა შემდეგი:

1) მაღაზიაში თანამშრომლების შერჩევით საგანგებოდ გამოცდილი ნოქრები — მემანუფაქტურეები, მეპურპლეები და სხვა.

2) პროფკავშირთა წევრებისთვის ფასის 10 პროცენტით დაკლებით (60—70 პროც. მყიდველები ისინი არიან).

3) მაღაზია ვაჭრობს მხოლოდ და მხოლოდ ფართე მოთხოვნილების და პირველი საჭიროების საგნებით და სრულებით არ გააჩნია რაიმე საფუფუნო თუ გამოუსადეგარი საქონელი.

4) მაღაზიის ვაჭრობას ხელმძღვანელობენ არა კაბინეტიდან, არამედ მისი ოპერაციების საშუალებით.

5) აქამდე კოოპერატივები და სახელმწიფო მაღაზიები მისდევენ ბაზარს, არც ერთ მათგანს არ უცდია ბაზართან ბრძოლა, მისი დამორჩილება და თავისი ფასების კარნახი. ჩვენი მაღაზიის გახსნისას, საგრძნობლად დავარდა ფასები მანუფაქტურაზე და სხვა საქონელზე, ბაზარი მოგვდევს ჩვენ, და გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ჩვენ ფასებს.

6) დაბოლოს ჩვენი მაღაზია ყოველ კვირას ივსება საქონლის ახალი პარტიებით და ამიტომ ფართე ასორტიმენტი მუდამ ხელმისაწვდომია მყიდველებისათვის.

არამც თუ კერძო ვაჭრების წრეებში, არამედ ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკების კაბინეტებში დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ფასები ძლიერ დაბალია და საზოგადოდ საქონელს ფასს უკარგავს ბაზარზე. რომ გამოგვერკვია, თუ რამდენად შეეფერება ასეთი განცხადებები სინამდვილეს, ჩვენ დავაარსეთ შემფასებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ორ-ორი წარმომადგენელი მომარაგების საბჭოსაგან, ამიერ-კავ. სატრან. მომხმ. საზოგადოებისაგან, მთლიან მუშათა კოოპერატივის და სასურსათო სახ. კომისარიატისაგან.

კომისიამ განიხილა ჩვენს მიერ საქონლის შეფასება და არც ერთი ფასი მას არ აუწევია. პირიქით კომისიამ სცნო შესაძლებლად ზოგიერთ საქონლებზე ფასის დაკლება. ყველა ამის შესახებ შედგენილია აქტი.

ეჭვი არაა შემდეგშიაც წარმოება იქნება მაღაზიას, რადგანაც მოსკოვიდან სისტემატიურად საქონლის მიღება ჩვენ სავსებით მოვაგვარეთ.

ერთი მარშრუტი საქონლით ეხლახან მოვიდა, მეორეს ახლო მომავალში მოველით.

სწარმოებს მოლაპარაკება უცხო ფირმებთან მანუფაქტურის, საწვრილმანოს და ფეხსაცმელების დიდძალი პარტიების შესყიდვის შესახებ.

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ, როგორც აღნიშნავს პრესსა, ჩემს ყოველდღიურ თვალყურის დევნებაში თბილისის ბაზრისათვის, რომ თუმცა ქალაქში ზოგიერთი საქონელი ცოტა მოიპოვება, მაგრამ მისი ფასები არ იზრდება.

საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოსკოვთან

(საუბარი ამხ. ამირაგოვთან)

სასურსათო სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ამირაგოვი ჩვენ გაზეთის თანამშრომელთან საუბარში აცხადებს, რომ ეკონომიური სავაჭრო კავშირი სასურ. სახ. კომისარიატსა და მოსკოვს შორის უკვე გაბმულია და აგრეთვე ჩამოყალიბებულია განუწყვეტელი სისტემატიური დამოკიდებულება. სასურკომი პერიოდულად აგზავნის მოსკოვს დიდ მარშრუტებს ადგილობრივ პროდუქტებით და ნედლეულობით და სამაგიეროთ ღებულობს მოსკოვიდან მარშრუტებს რუსეთის ფაბრიკებით.

მესამე დღეა, რომ მორიგი სამარშრუტო მატარებელი 40 ვაგონის შემადგენლობით გავიდა მოსკოვს ღვინით, კონიაკით, კონიაკის სპირტით, თხილით, ხიზილალით, წითელი თევზით, მატყლით და აბრეშუმის ძაფებით. ღვინო, თევზი, ხიზილალა, კონიაკი და სხვა გაგზავნილია სპეციალურად მოწყობილ საციებელ ვაგონებით, რომელიც მისცა სასურკომს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ. ყინვა მოგვცა თბილისის ქალაქის სასაკლაოებმა.

ამხ. შ. გეგეჭკორს, მარშრუტის უფროსს, მიენდო საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საეკონომიო განყოფილების საშუალებით ყველა ზემო აღნიშნული საქონლის განაღდება, და აღებული თანხით შესყიდვა და თბილისში ჩამოტანა ჩვენთვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საქონლისა, როგორიცაა მანუფაქტურა, ფეხსამცელი და სხვა.

მარშრუტს თან გაყვება შეიარაღებულ წითელ არმიელთა რაზმი. ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა ამხ. მარკოვმა გასცა განკარგულება მთელი რკინის ხაზზე სრულებით არ დააკავონ მარშრუტი. და დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა რკინის გზების სადგურების ადმინისტრაციას. საზოგადოდ რკინის გზა სიამოვნებით ეგებება სასურსათო სახალხო კომისარიატის მოთხოვნილებებს.

მთელი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც გაგზავნილია მოხსენებულ მარშრუტით, აღწევს 20 მილიარდ მანეთამდე ქართული ბონებით. ამავე მარშრუტით გაგზავნილია რამდენიმე ვაგონი ღვინო და სხვა ადგილობრივი პროდუქტები საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის როსტოვის კანტორისთვის. მოსკოვიდან აქეთ მომავალი მარშრუტით გამოგზავნილი იქნება გარდა საეკვივალენტო საქონლისა, მანუფაქტურა 150 მილიარდ მანეთად ღირებული რ. ს. ფ. ს. ფულის ნიშნებით, რომელსაც აგზავნის საზოგადოება „შერსტ“, როგორც ავანს აქ მატყლის დასამზადებლად რუსეთის საფეიქრო მრეწველობის საჭიროებისათვის. მარშრუტით გაგზავნილ საქონლის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის სასურსათო კომისარიატს, ნაწილი მიღებულია საკომისიოდ თბილისში, ნაწილი ბათომის კანტორისაგან.

ამ მარშრუტის გაგზავნის შემდეგ სასურსათო კომისარიატი დაუყონებლივ შეუდგა ახალი მარშრუტების მზადებას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა.

—საადგილ მამულო დავათა გადასაწყვეტად მთელს საქართველოში ერთიანი უმაღლესი ინსტანციის დაარსების შესახებ.—

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს ერთიანსა და მთლიან საადგილმამულო პოლიტიკას მთელს საქართველოში, რომელშიაც შედის აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ ოსეთი, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი ახორციელებს მთელი საქართველოსათვის სავალდებულო საადგილ მამულო რევოლიუციონურ კანონმდებლობას,—აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ საადგილ მამულო დავათა გადასაწყვეტად რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე არსებობდეს ერთიანი (მეორე) უმაღლესი ინსტანცი—აცენტრალური კომისიის სახით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს საადგილ მამულო კანონის თანაბარი განმარტება და სათანადო შეფარდება, რისთვისაც ადგენს:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია ცნობილ იქნეს მთელი საქართველოსათვის—აფხაზეთ აჭარისტან სამხრეთოსეთიითურთ,—ერთიან უმაღლეს ინსტანციად საადგილ მამულო დავათა გადასაწყვეტად, რაიც გათვალისწინებულია 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა და 62 №-ით გამოცემული დეკრეტითა და ამა დეკრეტის საფუძველზე გამოცემული დებულებით საადგილ მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივლისის 18.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 39.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი, ოქრო ვერცხლის, პლატინის, ძვირფასი ქვებისა და ვალიუტის ტრიალის შესახებ.

გასაუქმებლათ ს. ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის № 84 დეკრეტის 1, 2, 3 (შენიშვნით) 5, 6 და 7 მუხლებისა, რომლითაც აკრძალულია თავისუფალი ოპერაციები, ყიდვა-გაყიდვა და შენახვა განძეულობისა,—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) დაშვებულ იქნას თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა ძვირფასი ქვებისა, ბრილიანტების, ფასიანი ქაღალდების და ძვირფას ლითონების (ოქროს, ვერცხლის და პლატინის), როგორც ზოდებათ ისე ნაკეთობის სახით.

2) დაშვებულ იქნეს თავისუფალი მოხმარება 1 მუხლში აღნიშნული ძვირფას ქვების და პროცენტიან ქაღალდების და აგრეთვე ძვირფას ლითონებისა, როგორც ზოდებათ ისე ნაკეთობის სახით.

3) დაეტოვოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს მონოპოლიის უფლება ოქრო ვერცხლის ფულისა და უცხო ვალიუტის ყიდვა გაყიდვაში.

4) ძვირფას ლითონების ნაკეთობის, ბრილიანტების, ძვირფას ქვებისა და სხვა განძეულობის საზღვარ-გარეთ გატანა დაშვებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული ნორმით.

5) საზღვარ გარეთ გატანა ოქრო-ვერცხლის ფულის და უცხო ვალიუტისა დაშვებული იქნეს მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით.

6) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი

ა. ხვანიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

—

დეკრეტის

დანართი № 39.

ნ ო რ მ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ძვირფასი ლითონის ნაკეთობისა, ბრილიანტისა, ძვირფასი ქვების და სხვა ძვირფასეულობის გატანისათვის.

1) ოქროს და პლატინის ნაკეთობა საერთო წონით არა უმეტეს თექვსმეტი მისხალისა თვითეულ ადამიანზე ვერცხლის ნაკეთობა არა უმეტეს ორი გირვანქისა თვითეულ ადამიანზე ან ხუთი გირვანქისა ოჯახზე.

2) ძვირფასი ქვების ნაკეთობა, აგრეთვე მარგალიტი საერთო წონით არა უმეტეს ორი კარატისა—მარტოხელსა და ოჯახის პატრონისათვის და თითო კარატისა ოჯახის დანარჩენ წევრებისათვის.

შენიშვნა: თვითეული მოზრდილი პირისათვის ნებადართულია ოქროს და ვერცხლის საათისა, ნიშნობის ბეჭდისა. ვერცხლის პორტსიგარისა და ქალის ვერცხლის საფულეს გატანა ყოველი ამ ნივთთაგანის თითო ცალისა, ამასთანავე ამ ნივთების წონა არ შედის წინა მუხლებით დაწესებულ ნორმაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი

ა. ხვანიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს

მდივანი **ალ. სალარიძე.**

—

დადგენილება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი, სასინჯო პალატის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

1) სასინჯაო წესდების მე 60, 61 და 62 მუხლების გათვალისწინებული ჯარიმა იმდენად უმნიშვნელოა დღევანდელ სინამდვილეში, რომ მისი გადიდება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

2) სხვა ქვეყნებში ნაწარმოები ოქრო-ვერცხლის ნივთების გაყიდვა საქართველოს სასინჯაო პალატის უდაღოთ უნდა აღიკრძალოს.

3) საექსპერტიზო ორგანო, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს დავას სასინჯო პალატის თანამშრომლის და ყალბი დაღიდან პატრონის შორის არ არსებობს.

ზემო მოყვანილ მოსაზრებათა გამო გთხოვთ, დაადასტუროთ:

1) სასინჯაო წესდების მე 60, 61 და 62 მუხლებში გათვალისწინებული ჯარიმა ნაანგარიშევი იყოს ოქროს კურსით.

2) ყოველგვარ ოქრო ვერცხლის დასრულებულ ნახელარს, რომელიც კი საქართველოს ბაზარში გამოვა, უნდა ჰქონდეს დასმული საქართველოს სასინჯო პალატის დაღი.

ამ მუხლის დამრღვევს ჩამოერთმევა ნივთი და გადახდება ჯარიმა. ნივთის ღირებულება გადიდებული 1—5 ზომამდე.

3) დაწესებულ იქნას საექსპორტო ორგანო შემდეგის შემადგენლობით: წარმომადგენელი სასინჯო პალატის, ერთი სპეციალისტი გრავიორი, ფინსახკომის დანიშვნით, რომელთა დასკვნა საბოლოოდ უნდა ჩაითვალოს.

ფინანსთა სახალხო კომისარი

ა. ხვანიძე.

ფინსახკომის საქმეთა მმართველი

გ. ელისაბედაშვილი.

სარედაქციო ჭოლეზეა

განცხადება

დამატებითი საგარეკო მატარებლები

22 ივლისიდან თბილისის, ბორჯომის და ბაკურიანის შორის დანიშნულია სწრაფი საგარეკო მატარებლები № 18 და 17, კვირაში ერთხელ.

თბილისიდან გადის შაბათობით დღის 11 საათ. 45 წუთზე, გორიდან—2 საათ. 20 წუთზე, მიხაილოვიდან—3 საათზე და 55 წუთზე, ბორჯომში მიდის 5 საათ. 30 წუთზე დღის.

ბორჯომიდან ბაკურიანში გადის წვრილი ლიანდაგიანი გზით 5 საათზე და 50 წუთზე, ბაკურიანში მიდის საღამოს 9 საათზე და 18 წუთ. შაბათობით.

უკან ბრუნდება

ბაკურიანიდან—კვირაობით საღამოს 4 საათზე და 40 წუთზე ბორჯომში მიდის 7 საათზე და 45 წუთ. ბორჯომის პარკში—საღამოს 8 საათზე.

ბორჯომიდან თბილისში გამოდის საღამოს 9 საათზე და 50 წუთზე, მიხაილოვიდან—ღამის 12 საათზე და 35 წუთზე, გორიდან—2 საათზე და 41 წუთ. თბილისში მოდის დილის 6 საათზე და 02 წუთზე.

ეს მატარებლები პატარა პლატფორმებზე არ შეჩერდება. (2—1)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე. (0—1)

ვამზადებ მათემატიკურ

საგნებში: არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და ფრანგულ ენებში. ტეხნიკუმში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მე-V, VI კლასში. მისამართი: პლეხანოვის (მიხეილ) № 25, და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 9—12 ს. 3—6 საათამდე. (2—1)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება

აცხადებს ყველა სახლის პატრონთა საყურადღებოთ, რომ გაყიდვა და მიღება საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 აგვისტომდე.

საანკეტო ფურცლის ფასი 100.000 მან.

1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 10 ჯერ. (10—4)

აბანოები

უოფ. ორბელიანის, არგუტინსკის და ირაკლის

ახლად შეკეთებულია და მშვენივრად მოწყობილი ნომრებით.

ცივი და ცხელი ოთახი

გოგირდის წყალი. მუდამ არის თავისუფალი ნომრები. (10—7)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—16)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №4

ორგანო საქართველოს ახალ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა.

სასპორტო ორგანიზაცია თუ შოვინიზმის სკოლა?

(პასუხად ამხ. მელაშვილს)

ამ დღეებში გაზით „ტრიბუნის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ძრიად ახირებული და ნაწილობრივ ჩვეულებრივი ნაციონალისტური ფრაზეოლოგიით აქრელებული წერილი მუშის, ამხ. მელაშვილისა, რომელიც დიდ „ოავდა ხმას“ ახდენს კავშირის მე-2 ყრილობაზე და კერძოდ ამხ. დევდარიანზე, ყველასათვის ცნობილ „შევარდენი“-ს შესახებ. ვიდრე ამხ. დევდარიანი ამ ხაზებში აქ არ იმყოფება და მეორე იმ მოსაზრებით, რომ რადგანაც ამხ. მელაშვილის სიყალბე ეხება ჩვენი კავშირის მეორე ყრილობას, რომლის ერთი წევრი ჩვენც ვიყავით, ვეცადეთ რა ამხანაგ დევდარიანის მიერ წამოყენებულ დებულებას „შევარდენი“-ს შესახებ, აძლიერებული ვრთ ყრილობის გადაწყვეტილების სინამდვილის ასადგენად და მოსალოდნელ ეჭვების გაფანტვად, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამხ. მელაშვილის ყველიფერ ლოღიკას და სიმართლის მოკლებულმა წერილმა, მოკლე საუბარი გავმართოთ, იმისთვის რომ გავეცნოთ ამხ. მელაშვილის აქიმბოც და დავამშვიდოთ მისი „აღშფოთებულ“ გონება. უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ყრილობამ სხვა მცირე მნიშვნელოვან საკითხთა შორის, გაარჩია და ყოველმხრივ აწონ-დასწონა საკითხი საქართველოში არსებულ სასპორტო (უფრო სიტყვით) ორგანიზაცია „შევარდენი“ს შესახებ დაადგინა, რომ შევარდენი საჭიროებს რეორგანიზაციას და თუ რისთვის ამაზე ქვევით. რა არის „შევარდენი“ და რას იმსახურება ის დღეს საქართველოში? მელაშვილი გვამტკიცებს: „შევარდენი დაარსდა იმ ხანაში, როდესაც მთელი ქართველი ხალხი, როგორც რუსეთში და ამიერ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში იგრძნობდა უკიდურესს კონტრ-რევოლუციას... ის წარმოადგენს დღეს და დარჩება შემდეგშიც ნამდვილი ქართული კულტურული სახლობა“ (იხ. გაზეთი „ტრიბუნა“ № 245) გასაოცარი დახასიათებაა!! რადგან კონტრრევოლუციის მოგერიებაზე არის აქ ლაპარაკი, რომელ ხანაზეა საუბარი, ან სად ურ კულტურაზეა აქ მსჯელობა?

ამხ. მელაშვილს ალბათ ამისუფასური ფაქტები მოეპოვება და სასიამოვნო ქმნილა თუ გაგვაცნობს. უკიდურესობის გამო ჩვენ არ შევეხებით ამ წერილში შეხება იმას თუ როგორ ბურჟუაზია და საერთოდ გაბატონებული კლასები სპორტს და შეეფ რუთ ის იმ მომენტს როდესაც ამ სპორტული ორგანიზაციების დაარსება აუცილებელი შექმნა რუსეთში და ამიერ კავკასიაში მხოლოდ ჩვენი და მასთან ერთად ყრილობის ღრმა რწმენით „შევარდენი“ დღეს წარმოადგენს (თავის შემადგენლობის უმრავლესობით) ბოლოს მოსწავლე (მაგრამ სამწუხაროდ სწავლაზე გულ-აცრუებულ) ქალაქის მოკ პნელი, შოვინიზმის მავნე სენით შეპყრობილ და საბჭოთა ხელისუფლების ამბი მტრულად განწყობილ ახალგაზრდობის კუთვნილ ერთი ნაწილი, ძისწავლე ახალგაზრდობისა, მოკლებულია „შევარდენში“ და სამწუხაროთ რყვნის ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც ნამდვილად შემოსულია სასპორტო მიზნით. „შევარდენი“ დღეს არ არის მატარებელი იმ მიზნისა, რომელიც უნდა იდვას იმ ორგანიზაციის სარჩულად, ის არ დგას თავის მოწოდების შესაფერ სიმაღლეზე და კონტრ-რევოლუციონერ შოვინისტურ პარტიების სამარცხვინო საქციელის ხელის შემწყობად და გამტარებლად გამოდის. საბჭოთა რესპუბლიკაში სავსებით ლეგალურად არსებული და მთავრობის დახმარებით სულდგმული სასპორტო საზოგადოება, ბნელ საქმეში ერევა, „შევარდენი“ ეფარება აშკარად „სკაუტინგები“ს დროშას და საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ მოქმედებს. ამხ. მელაშვილი დაჟინებით უარყოფს იმას, ვითომ არ ყოფილა შემთხვევა ჯერ, რომ „შევარდენს“ თავისი მტრული განწყობილება, შოვინისტური, კონტრ-რევოლუციონური საქმიანობა დაემტკიცებიოს, რომ „როდის და ნახეთ 11 თებერვალს, გინდ 24—26 მაისს მისი „გრანდიოზული დემონსტრაციები“-ო და სხვა. ამხ. მელაშვილი! რადგან ინებით ასეთი ოპიკუნობა, გეპასუხებით: 1) ვინ განაცხადა უარი 7 ნოემბერს (25 ოქტომბერი) პროლეტარული რევოლუციის 4 წლის თავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მიღებაზე — თუ არა „შევარდენმა?“ 2) ვინ განაცხადა კატეგორიული უარი 25 თებერვლის (საქართველოს გასაბჭოების წლის თავის) დღესასწაულზე გამოსვლაზე, 3) ვინ გამოუცხადა საქართველოს კონტრ-რევოლუციის პარტიულ კომიტეტთან ერთად მუშათა (იმ მუშათა, რომელთა რიცხვს თქვენც ეკუთვნით საზეიმო დღეს, 1 მაისს ბოიკოტი—თუ არა თქვენგან აღფრთოვანებულმა „შევარდენმა?“ ან გაუმართა „ბრძოლა“ საბჭოთა ხელისუფლებას თუ გინდ იმავე 11—თებერვალს, თუ არა „შევარდენში“ შემოხიზნულმა მოწაფე ვეჟაპრონებმა, რომლებმაც გაიყვანეს „ძუძუ მწოვარა“, შრომის სკოლის ბავშვები და სკოლიდან ქუჩაში გამოიყვანეს თავიანთ სამოსწავლო ნივთებით. (ასევე მოხდა 24—26 მაისს) დიახ ეს გახლდათ ის „გრანდიოზული დემონსტრაციები“ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის „შევარდენის“ ნიშნებით, რომელიც თქვენც ძეულებული ხართ დაგმოთ. განა შრომის სკოლის ბავშვების გაცდენაში გამოიხატა, ქართული კულტურის სახლობათა დაცვა? თვით განსაჯეთ თუ რამდენ ულოღიკობაში ვარდებით, როდესაც თვითვე აღიარებთ: „არავინ გადავებათ იმ ფაქტს რომ ქართულ „შევარდენში“ შეპარულია ქართველი (მე დაუმატებდი—ზოოლოგიური—დ. გ.) შოვინისტური სულის კვეთება, კონტრ-რევოლუცია და ამის ზეგავლენით იყო რომ 11 თებერვალს 24—26 მაისს „შევარდენის“ რიგები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოდიოდა ქუჩაში... ამიტომ აუცილებლად (კურსივი თქვენია) **უნდა გაიწმინდოს და განიკურნოს „შევარდენი“—შოვინისტურ სენისგან, უნდა გამოეცალოს მას ხელმძღვანელთა რიგებიდან ის პირები, რომელნიც საეჭვონი არიან**“ (კურსივი ჩვენია დ. გ.)

ამხ მელაშვილი! კიდეც ჰკიო და კიდეც კივით, რისაც ასე დაჟინებით უარყოფთ ის თვალ ბული ხართ დადასტუროთ და ამით სავსებით ეთანხმებით ყრილობის მიერ წამოყენებულ **რეორგანიზაციას**. რომელიც იმას გარეშე კი ხმობს, „შევარდენის“ საფუძვლიან გაწმენდას; შემოწმებას, გადახალისებას შოვინიზმის გაბუდებული შანთით ამოწვას, ბნელი საქმიებისთვის შემოსულ ახალგაზრდობისაგან განთავისუფლებას და შევსებს ს. ა. კ. კავშირის წევრებით და პროლეტარული ახალგაზრდობით „შევარდენში“ (რომელიც ითვლის მთელ საქართველოში არა 10 000 წევრს, რაიც თქვენთვის გადაჭარბებით გადმოუციათ, არამედ სულ 4 500—5000 წევრს. „შევარდენს“ მთავარი ამხარ ვლო სტატისტიკით) დღემდი ჩვენი ქვეყნის თვით მტკიცედი პროლეტარული ახალგაზრდობისთვის არ აღმოჩნდა ადგილი, რადგან ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა განცხადებით „შევარდენი“ **არ დაინტერესებულა და არც დაუსახავს მას საპირო არა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური გაჯანსაღება**, რაიც დიდი დანაშაულია მშრომელთა სახელმწიფოს მიმართ და რაიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. მაგ. ქუთაისში არ ებოდს „შევარდენი“ს საგანგებოდ ორგანიზაცია, აერთიანებს მხოლოდ ქუთაისის მეშჩანურ ახალგაზრდობას და აზრადაც არ მოსვლიათ მის ვერვისთავებს ამ მაზრაშივე არსებულ ტყიბულის სამრეწველო რაიონის ნახვა და გაგება მისი, სადაც რომელს თუ არა ტყიბულის მაღაროების 200 მდე ახალგაზრდა მუშა თავის დაცემულ ფიზიკურ მდგომარეობის გამო ნაკლებ? აგრეთვე ხაშურში, ბორჯომში და ბათუმშიც, სადაც მუშათა ახალგაზრდობაზე არავინ ზრუნავს და თქვენ ეხლაც მოითხოვთ, რათა პროლეტარულ ახალგაზრდობას არ მიექცეს ყურადღება და ამტკიცებთ ერთგვარ „ლეგიტიმობას“, როდესაც დიდი წყრომით მოგვიწოდებთ: „რაც შეეხება ქართულ „შევარდენის“ პროლეტარულ ნაწილებით „შევსებას“ (საეჭვოა თუ რისთვის გჭირდებათ ამ სიტყვას. დ. გ.) **ამაზე ერთი წუთითაც არ შეიძლება არც ფიქრი და არც ლაპარაკი**“. ეს ხელ კიდევ მოგაგონებთ ამხ. მელაშვილო, რომ „შევარდენის 4500—5000 ორგანიზაციაში სულ უმნიშვნელო პროცენტი მოეპოვება შეგნებით და არც მდგომარეობით პროლეტარის შვილები.

საქ. საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც მშრომელთა სახელმწიფოს ელემენტარული წესი მოითხოვს, რათა ჩვენი ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობას, რომელიც ისედაც მცირერიცხოვანია, უაღრესი ყურადღება მიექცეს. სხვათა შორის ფიზიკურად გაჯანსაღებისთვის. თუ ევროპის სახელმწიფოებში, ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მე 80 წლიდან დაიწყო მუშათა ახალგაზრდობისათვის სპორტული საზოგადოებათა დაარსება, რათა მუშათა ახალგაზრდობა არ აყოლოდა სოციალურ პარტიებს ქადაგებას და ამით ის იუმეა დიდ დანაშაულს იდენდა ერთის მხრივ, მაგრამ ხელს უწყობდა მეორე მხრივ სახელოსნოებში და ფაბრიკა-ქარხნებში ლონე მიხდილ ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებას, ეს უპირველესი რამ, წარმოიდგინეთ, დაივიწყა ქართველმა „შევარდენმა“, როგორც „დემოკრატიის“ ბატონობის, ისე საბჭოთა წყობილების არსებობის 1 ნახევარ წლის განმავლობაში. სწორეთ ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ, რათა „შევარდენის“ არსებული აპარატი იქნას რადიკალურად შეცვლილი, ან ამხ. დევდარიანის ტერმინით რომ ვსთქვათ „გადააკეთოთ“ რომ მან გაამართლოს ყველა ის იმედები, რომელთაც დაამყარებს ამ სპორტულ (და არა გაპოლიტიკანებულ) ორგანიზაციაზე საბჭოთა ხელისუფლება. არავითარი „პოგრომული“ მიზნებით, როგორც ეს თქვენ გგონიათ, არ ვხელმძღვანელობთ, არამედ გამოვდივართ თვით „შევარდენის“ სასიცოცხლო ინტერესებიდან, რადგან ის დღეს ძლიერ აცდა თავის გზას. „შევარდენი“ არის ერთ ერთი გადაუკეთებელი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ის ზომაზე მეტად საჭიროებს ამ გადაკეთებას და ის იქნება **დიდი სამსახური როგორც სოციალიზმისათვის ისე ქართველი ახალგაზრდობისათვის** აც მხოლოდ რაც შეეხება თქვენს მტკიცებას, ვითომ საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებით ყოველივე გადაკეთებულ ყო, ეს სიმართლის არ შეიცავს, რადგან საქართველოს მუშათა კლასს ჰქონია ჯერ კიდევ ხანგრძლივი მუშაობა და გონიერება, რათა გარდაიქმნას თავის გემოვნებაზე და „გადააკეთოს“ ყველა მახინჯ ფორმები ბურჟუაზიული საზოგადოებისა. და ბოლოს თქვენ იდიოპათიურ სით გვეკითხებით, „რატომ მოხდა ის, რომ ყოფილობა პირდაპირ ქართულ „შევარდენს“ დაეჯახა და გვერდის ახვევით ჩხედველობაიდან გამოეპარა იმავე საქართველოს დედა ქალაქ თბილისში არსებული სხვა ეროვნებათა „სკაუტინგების“ არსებობა, იმ „სკაუტინგის“, რომელნიც მართლა „სკაუტინგი“ ბაირაღით, საქართველოს საბჭოთა მთავრობის დროშას ეფარებიან და არიან ნამდვილად სოლოლაკის წიაღიდან გამოსულნი, გვეპასუხებით, რას ფიქრობდა იმაზე ყრილობა. იმას, რომ ისინი „პროლეტარული“ ნაწილებით არიან შევსებულნი? იხ. „ტრიბუნა“ № 245). პატივცემულო ამხანაგო! ერთ ხელ და სამუდამოთ დაიმახსოვრეთ, რომ სანამდის რაიმეს მტკიცებას დაიწყებდით, მანამდის ცოტათი გაისარჯეთ და გაიგეთ სინამდვილე მისა, რაიც თქვენი მეჯლისობის და პიდ-ნატური მტკიცების საგანს შეადგენს, რაიც მეტი სასარგებლო იქნება ვინემ თავიდან ბოლომდი სრული **სიყალბის** გადმოლაგება უდიდობის გამო, მე არ მაქვს საშუალება დაწვრილებით შევეხო საქართველოს დედა-ქალაქში არსებულ სხვა ეროვნებათა (როგორიც არის ებრაელთა, სომხეთა, რუსთა „სკაუტინგების“ ნამდვილი ფიზიონომიის განხილვას, მხოლოდ ცნობისათვის შემდეგს მოგახსენებთ. საქართველოში არსებულ სასპორტო ორგანიზაციისთვის ყურადღების მიქცევა არ დაწყებულა ამა წლის ივნისიდან (როდესაც იქნა მოწვეული ჩვენი კავშირის მეორე ყრილობა), არამედ ის კარგა ხანია არის გარხდარი სერიოზული მეჯლისის საგნად საქ. ახალგ. კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელ ორგანოსთვის და დღეს მხოლოდ მთავრდება მუშაობა ამ სფეროში. როდესაც ყრილობამ საქ. „შევარდენი“ს შესახებ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა, მაშინ იგ ხელმძღვანელობა იმ გამოცდილებით, რომელიც მან მიიღო დედა ქალაქში არსებულ სხვა ეროვნებათა „სკაუტინგებისაგან“ და რადგან ამ „სკაუტინგების“ „გადასაკეთებელი“ უმთავრესი მუშაობა თითქმის დასრულებული იყო, ამიტომ მან მათი მაგალითით მიუდგა „შევარდენი“-ს კითხვის გადაჭრასაც. აპრილში და მაისში ჩვენ ჩავტარეთ გაწმენდა სხვა ეროვნებათა „სკაუტინგებს“. რადგან ისინი მართლაც „სოლოლაკის წიაღიდან“. იყვნენ გამოსულნი, რადგან ისინი არ იყვნენ „პროლეტარული ნაწილებით შევსებულნი“, ამიტომ გაწმენდის მიზანი, რომელიც მათში ჩავატარეთ, იყო მათი პროლეტარულ ნაწილებით შევსება. მაგ. „წითელი ვარსკვლავს“ (отряд „Красная звезда“). გაწმენდის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთო რიცხვიდან, 100 წევრიდან—60 მდე მოყვა გაწმენდას, და დარჩენილ 40 ნაც მოსალოდნელია 5 პროც.—10 პროც. გამოკლება და შევსება მათი პროლეტარული ახალგაზრდობით. გა წმინდა „ოლია“ (სკაუტთა მეორე ნაწილი) სადაც გაწმენდაში მოყოლილთა რიცხვი 65 პროც.—70 პროც. აღწევს. იწმინდება სკაუტთა „სომხური რაზმი“, სადაც ანალოგიური პროცენტული შემცირებაა მოსალოდნელი. იხება აგრეთვე ამ სპორტულ ორგანიზაციების ინსტრუქტორთა შემადგენლობას, რომელთა უმრავლესობა, როგორც არა საჭირო აღზრდილნი „განთავისუფლებულნი“ იქნებიან თავიანთ მოვალეობიდან. მუშაობა რამოდენიმე თვეა დაიწყო და ამ მოკლე ხანში დამთავრდება, რომლის დაჩქარება დამოკიდებულია საყოველთაო, სამხედრო სწავლების ამმართველობაზე („ვსეობუჩზე“), რომელსაც ეკუთვნის ორგანიზაციული მხარე. გადაწყვეტილია, რათა ყველა არსებულ ეროვნულ „სკაუტინგ“-ებისაგან შეიქნას **ინტერნაციონალური** ტანთ-ვარჯიშო საზოგადოება, რაიც ამ ზაფხულის განმავლობაში იქნება სისრულეში მოყვანილი. რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რომელსაც მოგვიტანს შევარდენის „გადაკეთება“ მე მგონია ისინი ისეთი „უზარმაზარი“ არ იქნებიან, როგორც სხვა ეროვნებათა „სკაუტინგების“, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტი განხორციელებაა ბურჟუაზიულ სასპორტო ორგანიზაციის პრინციპები, ვინემ ქართული „შევარდენი“.

დავ გონი.

რ. ა. კ. კავშირის მეხუთე კონფერენციის შემდეგ

რომელი უმთავრესი გადამწყვეტი ამოცანა დგება კავშირის შინაურ ცხოვრებაში გადაჭრელი? ჩვენ დღემდის ვერ დაგვიმთავრებია კავშირის ყოველდღიური მუშაობა, კავშირის მთელი აპარატი ჩვენს აღმზრდელობითი მიზნებისთვის. ჩვენ წინაშე ძევს კიდევ ამოცანა, რათა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომლის მეოხებით უნდა აღიზარდოს უპირველეს ყოვლისა მუშათა ახალგაზრდობა და არა ახალგაზრდობა „საერთოდ“. რისთვის დარჩა ეს ამოცანა გადაუწყვეტელი? ჩვენ ძლიერ შორს წავალთ თუ კამეჩუდებით ამ მოვლენის მიზეზების დაწვრილებით განხილვას, რომლებიც უეჭველია იმყოფებიან კავშირის გარეშე. ისინი მრავალია, ისინი ძნელ შენიღბვიანი არიან, მაგრამ ჩვენ დაგვრჩა კიდევ მრავალი საშუალებანი, რომლებიც არ გამოგვიყენებია, გამოუკვლეველი გზები, რომლებიც დაგვეხმარებიან კავშირის აღმზრდელობითი ამოცანებით გადაწყვეტაში.

„ახალი კურსი“,—როგორც ეხლა ამბობენ,—წარმოადგენს ჯამს ამ საშუალებისას. ჩვენ ვიცით, რომ ახალ ლიანდაგზე არ გადასულა ჯერ მთელი კავშირი, არ დამდგარა ამ გზაზე მაგრად და მოძრაობა ნელა და არა მტკიცედ. კავშირის აქტიური მუშაკები შეიძლება გაკვირებით შეგვეკითხონ, თუ რისთვის ვერ მივაღწიეთ ჩვენ დასახულ მიზანს და რა გვაბრკოლებს? —იმიტომ რომ,—უპასუხებთ, **არ არის მიღებული ყველა ზომები „ახალი კურსის“ ცხოვრებაში უცვლელად გახატარებლად.** რადგან ის მდგომარეობს ძირითად კომუნისტურ აღზრდაში, (თვით მოქმედების საფუძველზე), ამიტომ უნდა დასახული ყოფილიყო დასაყრდნობი პუნქტები, გადაგვეთვალისწინებინა, რომ ამ ასეთი ზომებია საჭირო კავშირის წევრების თვითმოქმედების გასაძლიერებლად, მუშაობაში ჩასაბმელად და ამ ასეთი ზომებია საჭირო მათთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილების შესაძენად ამ გარემოებას უნდა მიეპყრას მთელი ყურადღება და ამის მიხედვით აშენებული იქნას მთელი მუშაობა.

სრულიად რუსეთის მე-V კონფერენციამ გამოიყვანა აქედან მთელი რიგი პრაქტიკულ დირექტივებათა, როგორც არის მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური ბრძოლის გამოყენება კლასობრივი თვითშეგნების გასაღვიძებლად. რომელიც არის კომუნისტური მსოფლ-მხედველობის საფუძველი; კავშირის ორგანიზაციული აღმშენებლობის დამორჩილება აღმზრდელობითი ამოცანებისათვის, ე. ი. მუშაობის მთელი ცენტრის გადატანა ორგანიზაციის დაბალ ფენებში (იაჩეიკებში, კლუბებში). აღმზრდელობითი მარცვლები, დათესილი მუშათა ახალგაზრდობის მასებში, აუცილებლად ნოყიერ ნიადაგზე მოხვდებიან და დიდ ნაყოფს აც მოგვცემენ, ვინაიდან მუშათა ახალგაზრდობაში დიდია საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის სურვილი; ამიტომ საჭიროა მხოლოდ უჩვენოთ მას გამოსავალი, გამოვიყენოთ ის, და დროზე დავაყენოთ სწორ გზაზე.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ, რომ მხოლოდ მუშათა ახალგაზრდობას შეუძლია უჩვენოს გზა კავშირის გლეხურ უმრავლესობას, მხოლოდ მუშათა ახალგაზრდობას შეუძლია შეასრულოს ახალგაზრდობის თვითმოქმედების ორგანიზაციის ამოცანა. კონფერენციამ დაადგინა, რათა მიექცეს რიგის ახალგაზრდობის პროფესიონალურ ტეხნიკური განათლება, მისი ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ეს გზა კი აუცილებლად უნდა იქნეს გაშინჯული, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს კავშირში შეგირდული ნაწილის ყოფნა აიხსნება მით, რომ შეეძლებით ეკონომიურად დაგვეინტერესებინა შეგირდი—მუშები კავშირის მუშაობაში უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ მუშათა ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტივობის გაღვიძება დარჩება უახლოეს დროში ერთ ერთ საშუალებათ ახალგაზრდობის დაპყრობისა. ახალგაზრდობის ნაწილს უნდა მივაღებინოთ მონაწილეობა პროფესიონალურ კავშირების გამოცხლებაში, საბჭოთა აპარატების მოქმედებაში, მივაღებინოთ აქტიური მონაწილეობა სამეურნეო აღმშენებლობაში, ფაბრიკებში და ქარხნებში კულტურულ ცხოვრების ორგანიზაციაში და, ერთი სიტყვით, მუშათა ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ ის აზრი, **რომ ის არის მემკვიდრე პროლეტარული დიქტატურისა.**

(ჟურნ. „ახალგაზრდა კომუნისტი“).

კომკავშირის ზრდა გურიაში

უკანასკნელი ცნობები, რომელნიც მოგვდის გურიის ყველა კუთხეებიდან მოწმობს, რომ ჩვენი კავშირი იზრდება და ვითარდება განუწყვეტლად. ახალი ორგანიზაციები არსდება და ძველები მაგრდება. ახალი წევრების ლტოლვა კომუნისტურ კავშირის სწრაფი ტემპით ვითარდება გურიაში, როცა უკვირდები ამ მოვლენას, თავის თავად ისმება საკითხი—რაშია საქმე? რად ხდება ეს აგრე? და ან სად იყო ეს ახალგაზრდობა დღემდი? პასუხი ერთად ერთია ეს აიხსნება იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობით, რომელშიაც ვიმყოფებით დღეს საქართველოში. მსოფლიო იმპერიალისტური ბურჟუაზიის შემფიცე მელა ტურები, გაკოტრებული მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალის მიმდევარ პორტფელისტების უკანასკნელმა სასტიკმა დამარცხებამ, რომლებიც იგემეს მათ ყველა ფრონტზე, და მეორეს მხრივ იმ უკბილო დემაგოგის ბადე-ქსელმა, რომელიც გააბის ქვემძრომმა სოციალისტებმა, შექმნა საბჭოთა რესპუბლიკას ატმოსფერა და შემდეგ ამას ზედ დაუმატოთ საბჭოთა ხელისუფლების ენით გამოუთქმელი შრომა, და ენერგია, რომელსაც ეს უკანასკნელი იჩენს, მშრომელთა მასის საკეთილდღეოთ (მუშათა ფაკულტეტების გახსნა, ღარიბ მოზარდ ახალგაზრდობის დახმარება, მუშათა დაზღვევა, არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, სათესლე მასალის ღარიბ გლეხებისათვის მიწოდება, დამშეულთა დახმარება, ელექტროფიკაცია და სხვა და სხვა) არ შეიძლებოდა, რომ ამ ვეებერთელა განსხვავებას, საბჭოთა შემოქმედებასა და მენშევიკების უსირცხვილო ქმრების შორის, რაიმე გავლენა არ მოეხდინა საზოგადოების მოზარდ, ენერგიით სავსე ახალგაზრდობაზე. მშრომელი ახალგაზრდობა, მართლაც, რომ გამოერკვა და იგი მივიდა თავის ერთად ერთ დამცველ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირთან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან კომუნისტურ კავშირს მოაქვს მათთვის ცოდნა და განვითარება, აზრობს მათში თავიდანვე მეშჩანურ, ნაციონალისტურ-შოვინისტურ შეხედულებას და ზრდის მას ნამდვილ სოციალისტურ ნიადაგზე, რაიც აუცილებელია, მით უმეტეს დღეს, მომაკვდავ კაპიტალიზმს და სოციალიზმს შორის კოლოსალურ შეჯახების ხანაში. მართალია გურიის ახალგაზრდობას ახსოვს ე. წ. „ახალგაზრდა მარქსისტები“, რომლებიც მენშევიკების ბატონობის ხანაში ცელქობდნენ გიმნაზიის კედლებში, მოსწავლე ინტელიგენტთა შორის, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გურიის მშრომელ ახალგაზრდობასთან მიეკლიყვნენ „ახალგაზრდა მარქსისტები“ და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ახალგაზრდა მშრომელი მუშა, გლეხი, მათთან არ ყოფილა. ახალგაზრდა „მარქსისტები“ ამიტომ აშკარად აცხადებდენ თავიანთ ყრილობებზე, რომ „ჩვენ რიგებში მუშათა რიცხვი 3—4 პროცენტით განისაზღვრებაო“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ახ. მარქსისტ.“, დაკარგეს რა გავლენა მუშათა ახალგაზრდობაში, შეეცადნენ „გამაგრებას“ გიმნაზიებში, და იქიდან „ბრძოლის“ წარმოებას: მაგრამ გურიის კომუნისტურ კავშირს აქაც ყავს თავის დასაყრდნობი ძალა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა აგრძნობინა „ახალგ. მარქ.“ 12 თებერვლის რეპეტიციის და სხვა დროსაც. ამგვარად კომუნისტური კავშირი გურიაში დღითი დღე უყრის თავის გარშემო ახალ ახალ ძალებს, გლეხურ ახალგაზრდობისას, და თავის გავლენის ქვეშ აყენებს მას და დღეს საკმაო ძალასაც წარმოადგენს. მას სჭირდება თავის გამოცდილი ძმის კომუნისტური პარტიის დახმარება და ხელმძღვანელობა; და ჩვენც ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ კომპარტიის გურიის სამაზრო კომიტეტი ჯეროვან ანგარიშს გაუწევს კავშირის ზრდის პროცესს, და სათანადო ზომებს მიიღებს ამ დარგში სამუშაოთ.

(გურიის ახალგაზრდა კომკავშირის ფურცელი № 3).

მუშათა ახალგაზრდობის ცენტრალური კავშირი ჰოლანდიაში და ყვითელი ინტერნაციონალი

ჰოლანდიის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირის რეორგანიზაცია დაიწყო 1920 წლიდან და ამით მან ახალგაზრდობის ზოგიერი ცალკე ჯგუფს ინიციატივა ასწია, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო მან ვერ შეუწყო ისე ხელი თავის გაერთიანებას. ჰოლანდიის მუშათა ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირი იყო და არის კიდეც სოციალ დემოკრატიული პარტიის და ყვითელ პროფესიონალურ კავშირების დასაყრდნობი ორგანიზაცია, და სწორეთ ისე როგორც ეს ხდება სხვა ქვეყნებში, მასაც მხოლოდ ქაღალდზე ჰყავს წევრთა დიდი რაოდენობა; ნამდვილად კი ამ ორგანიზაციის მუშაობაში იღებს მონაწილეობას 1000-დან 2000 მდე წევრი. 1921 წლის 1 ლ იანვრიდან მათი ორგანოს „Net Longe Volk“ ის რედაქტორად დანიშნულ იქნა კოოს ფორინი, რომელიც წინათ თვალსაჩინო როლს თამაშობდა ე. წ. სემინარიელთა კავშირში და რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა მშრომელ ახალგაზრდობასთან. ფორინი მსახურობდა ომის დროს ოფიცერათ ჰოლანდიის არმიაში და სავსებით იზიარებდა სამშობლოს „დაცვის“ საკითხში რეფორმისტების თვალსაზრისს. ამიტომ ფორინი სცდილობს გაავრცელოს მუშათა ახალგაზრდობის კავშირში ყვითელი ინტერნაციონალის იდეები.

ახალგაზრდობის „ბელადმა“ **ლინდენმანმა**, ვიტტერდამში (ცნობილმა წარმომადგენელმა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ყვითელი ინტერნაციონალის კავშირისა) გამოსთქვა რამოდენიმე თვის წინათ თავის აზრი, ახალგაზრდთა კავშირების შესახებ და ამტკიცებდა, რომ **ახალგაზრდა მუშების ყველა ინტერნაციონალური ლტოლვილებანი —ყალბიაო.** ახალგაზრდა მუშები უნდა ცდილობდენ მხოლოდ თვით განათლებისა და ფიზიკური განვითარებისთვის, და **ინტერნაციონალთან მათ არავითარი საქმე არ აქვთ.** ეს სული, შეიძლება ითქვას, კიდევ მეფობს ახალგაზრდობის „აღმზრდელთა“ რიგებში და ჰოლანდიის მუშათა ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივ ჯგუფებში; საკმარისია მხოლოდ გაეცნოთ კორესპონდენციების შინაარს რომელიც თავსდება „Net Longe Volk“ში, სადაც მტკიცდება რომ ახალგაზრდობა—მხოლოდ **თამაშობით** უნდა დაინტერესდეს და სხვა მისი საქმე არ არის. უფროს ბელადთა ასეთი დამოკიდებულების გამო, შეჩნეულია ახალგაზრდობის შორის პოლიტიკურ კითხვებისადმი გულგრილობა და ახალგაზრდობა სიზარმაცეს ეჩვევა, ფუქსავატობის და ხშირად გარყვნილების მორევში ვარდება. იმათ ურჩევნიათ ბილიარდზე თამაში, ველოსიპედებით სეირნობა სხვა და სხვა კლუბებში სალამოებზე სისტემატიური დასწრება, ვინემ რომელიმე კრებაზე წასვლა სადაც ახალგაზრდობის საკითხი ირჩევა. ასე მაგალითად „ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრებმა ლეიდენში საკუთარი ინიციატივით მოიწვიეს მიტინგი შემდეგ თემაზე: **„ახალგაზრდობის ყვითელი და კომუნისტური ინტერნაციონალი** „A. I. C“ ს ყველა წევრებს ეცნობათ ამის შესახებ და უფროსმა მოღვაწეებმა მიიღეს არა მარტო წერილობითი, არამედ სიტყვიერი მიპატიჟებაც ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგებისაგან. აღნიშნულ საღამოს „A. I. V. H.“-ის მრავალი წევრი იმყოფებოდა სახალხო სახლში სადაც გამართული იყო ჩვენი მიტინგი. მოსეირნე ახალგაზრდობა თამაშობდა ბილიარდზე და სრულებით არ აინტერესებდა დასწრება ისეთ საინტერესო კამათზე, როგორც ამ საღამოს იყო გამართული კომუნისტური ახალგაზრდობის მიერ. არც ერთი მათგანი არ დაინტერესებულა მიტინგით რომელსაც კომუნისტური ახალგაზრდობა მართავდა.

აი, სანამდი ჩამორჩენ ახალგაზრდობის ყვითელი ინტერნაციონალის წევრები, ოპორტუნისტული ბელადების მიერ უმადრუკი აღზრდის მეოხებით, იყო შემთხვევები, როდესაც ესწრებიან ყვითელი ინტერნაციონალის წევრები სხვა და სხვა, მიტინგებს სადისკუსიო კრებებს და სხვა, მაგრამ ძნელია მათში პოვნა ისეთი წევრის, რომელსაც ქონდეს ინტერნაციონალზე რაიმე წარმოდგენა, უკეთ რომ ვსთქვათ, ეს არის ხალხი, რომელიც ფეხს ხმას აყოლია, უსაქმობისაგან თავმოძულებული ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და ყვითელი ინტერნაციონალის „წევრად“ თვლის თავს. სულ სხვას წარმოადგენენ ჰოლანდიაში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები, რომელნიც თავის მოვალეობის სიმაღლეზე დგანან და აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას ახალგაზრდობის ყვითელი ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ისინი მართავდენ ხშირად ღია მიტინგებს შემდეგ თემაზე: „ახალგაზრდობის ყვითელი თუ კომუნისტური ინტერნაციონალი“. ასე მაგალითად ერთი გრანდიოზული მიტინგთაგანი შესდგა ამსტერდამში სადაც დიდი თეორეტიული ხასიათის ბრძოლის წარმოება მოუხდათ ჩვენს ამხანაგებს ყვითლებთან, რომელთა ყოველგვარ ტყუილს და ინსინუაციებს მოკლე ფეხები აქვს. სხვა ადგილებშიაც ხდება ასეთივე მიტინგები, რომელზედაც მჟღავნდება ყვითლების ნამდვილი ფიზიონომია და კომუნისტური კავშირის პრესტიჟი დღითი დღე იზრდება. მაგრამ ხშირად ჩვენს ორატორებს არ აძლევენ ლაპარაკის ნებას, მათ წინააღმდეგ კრების აღილვებს ემუქრებიან, ან კრების შეწყვეტის განზრახვით აჭანურებენ, კანკლაობას იწყებენ და უკიდურეს შემთხვევაში დემონსტრატიულად სტოვებენ კრებებს. ჩვენი კავშირის მიერ სწარმოებს ჰოლანდიაში დიდი პროპაგანდა მუშათა ახალგაზრდობის შორის, რითაც ამჟღავნებენ ახალგაზრდათ ყვითელ ინტერნაციონალის და მის ბელადების საქციელს, რომელთა მოქმედებას მიყავს მუშათა კლასი დამონავებისაკენ.

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტთან არსებული მუშათა ფაკულტეტზე

მე მგონია, მუშათა ფაკულტეტი ყველასათვის ცნობილია და თვით სიტყვა „მუშათა ფაკულტეტი“ ყველასათვის გასაგებია ე. ი. თუ რას უნდა წარმოადგენდეს იგი თავის შემადგენლობით. მუშათა ფაკულტეტი და მისი სტუდენტები ეს საბჭოთა რესპუბლიკის სიამაყეს უნდა წარმოადგენდენ, რადგან იქიდან უნდა გამოვიდნენ ისეთი მუშები, რომელნიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცებას და მოგვცემენ კადრს გათვითცნობიერებულ მუშებისას. მაგრამ სამწუხაროთ იქ მეტწილად თავმოყრილია არა მუშები და მუშის შვილები, არამედ ისეთი მავნე ელემენტები, რომელნიც მთელი თავისი არსებით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგნი და მისი ძირის გამომთხრელნი არიან, ამ ფაკულტეტზე თავი მოყრილი აქვს უპარტიო და განსაკუთრებით მენშევიკურ-ნაციონალისტურ ახალგაზრდობას, ამიტომ საჭიროა რათა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება, რათა მუშათა ფაკულტეტი არ დაემგზავსოს მენშევიკურ გიმნაზიას და მოხდეს მისი შემოწმება საჭიროა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მიაქციოს ყურადღება მუშ. ფაკ. შემადგენლობას, გააძლიეროს იქ კომუნისტური, მუშათა ელემენტი, გასწიოს აგიტაცია პროპაგანდა უპარტიო ახალგაზრდობაში, რომელიც დღეს იქ მენშევიკურ ნაციონალისტურ ანკესზე ეგება.

მხოლოდ ასეთი ზომებით შეიძლება, ჩემის აზრით იქცეს ეს დაწესებულება **მუშათა ფაკულტეტად**, სადაც ჩვენი ქვეყნის მუშური ახალგაზრდობა სათანადოდ აღიზრდება.

ლ—ნი.

ტირაჟი 10,000.

ნ. დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.